იამზე არველაძე - ხეცურიანი

# შენმა მზემ

თბილისი
2015

პოეტ იამზე არველაძე-ხეცურიანს სანუკვარი ადამიანების სიყვარული და ზვიადი მშობლიური მთების ნედლი სურნელი ბავშვობიდანვე ადევნებია და აქ, თბილისქალაქში ცხოვრებისას, მათზე ნოსტალგიით, მშვენიერი ლექსები აუჟღერებია... ღვთისნიერების გზით მარებელს და ქართული სიტყვის ალმურით გულზე ცეცხლმოდებულს, ეს რიგით მეოთხე წიგნი: ლექსთა კრებული - „შენმა მზემ“ სწორუპოვარი მიზანდასახულობის შედეგად აუკინძავს.

პოეტ იამზე არველაძე-ხეცურიანის შემოქმედების ძირითადი ხაზი წინაპართა მონაპოვარის დაცვაა, როგორც ქართული გონიერებისა და სულიერების გადარჩენისთვის სწრაფვა. რაც ამ წიგნში ახმიანებული ლექსებიდან შინაარსობრივად მოჩანს.

რედაქტორი: ლინა ბარათაშვილი

იამზე არველაძე - ხეცურიანი

ISBN 978-9941-0-7784-5

# წინათქმა

მე, იამზე არველაძე-ხეცურიანი დაბადებული და გაზრდილი ვანისა და ბაღდათის რაიონების ზღვარ-გამყოფი მთების მიჯნაზე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკურ ფაკულტეტზე სწავლისას დავოჯახდი თბილისში. სოფლიდან წამოღებული მშობლიური დედაბუნებისა და უსაყვარლესი ადამიანების სითბო-სიყვარულით გულგაჯერებულმა სიტყვასთან ჩუმი ფიქრ-საუბარი 40 წლის შემდეგ დავარღვიე და 2008 წელს გამოქვეყნებულ ლექსთა კრებულში „გამოღვიძება დუმილიდან “ავამეტყველე. 2010 წელს გამოქვეყნებული წიგნი - „უკვდავი ფესვი“ კი, მივუძღვენი ბაბუაჩემის - ვასილ არველაძის უკვდავ ხსოვნას, რომლის 10 შვილმა და 45 შვილიშვილმა ჩემს არსობას ღვთისნიერების მადლი მოჰფინა. მესამე წიგნი 2012 წელს გამოქვეყნებული „გრიგოლ რობაქიძე - შეწირულთა გასაგებ ენაზე ამეტყველებული შემოქმედი“ - ჩემს მიერ მოკრძალებული მონოგრაფიული ნაშრომია.

წინამდებარე პოეტური კრებული „შენმა მზემ“, თავისი სახელწოდებით და სულისკვეთებით დიდი წინაპრის ღვთაებრივ აზრთა ნაზავია.

ავტორი იამზე არველაძე-ხეცურიანი.

## ბადიშს

ბარბარე - ჩვილო, უმანკო
შენმა მზემ, სულის ხარებავ,
პატარებს:  ქვეყნად მოვლენილთ -
ფრთები შეგასხათ დარებმა!..
მუდამ გახსოვდეს მომავალს
სჭირდება მხრებით ტარება,
მოაქვს ღმრთისეულ სიყვარულს
სიმშვიდე  და ნეტარება.
შენი დარდი  და ვარამი
გაიყოლიოს ქარებმა,
ქვეყნად სიკეთის კეთება
ნურასდროს დაგეზარება!

## ღმერთო მზიანო!

სიცოცხლით მატკბობ
ღმერთო მზიანო!
კაცთმოყვარეების
მადლის  ზიარო.
ძალა მიბოძე
მთა-ველთან შერთვის
(ვინ გადიხადოს -
ამაგი ღმერთის?!)
ვიცი, არასდროს
არ  მიმატოვებ,
შენით აღარ  ვგრძნობ
ცივ სიმარტოვეს.
სულიერებით
რახან  ერთნი ვართ,
ვერვინ შემიცვლის
რწმენას  შენს  მიმართ!

## განსაცდელი

ამოენთო განთიადი -
ვარდისფერი კრიალით,
წყვდიადიდან  ზეცად
ადის ჩემი გულის ფრიალი...
მაცოდინა, რას მიქადის -
დეკემბრის დღე მზიანი? –
წელიწადის მიწურული -
 მიდის წუთთა  წრიალით.

.....

ჩემი ბადიშის სიცოცხლის ერთავ,
შენებრ  ვიგემე სიმწარე დღეთა...
მაგრამ  დაუსხლტი ყინვის ქარბუქებს...
რადგან სულს ჰქონდა საერთო  ღმერთთან.

**2014 . 28.12.**

## ბრწყინავს მარადის

სვეტიცხოველი ყოვლად გრძნეული,
დრო-ჟამთა სრბოლით ვერ დაძლეული.
შევყურებ კედლებს, იმედის ფრთებს ვშლი
(სამშობლო სანთლად ენთება ჩემში!).
ცადაღმართულა  უკვდავ მარჯვენით, -
ურყევი არის ნება გამჩენის!
მშვენება ქვეყნის, დიდება ერის,
აისის დარი,  უკვდავ  მზისფერი.
მძლევი წყვდიადის, მომფენი ნათლის,
სავსე მირონით და უფლის მადლით.
მარადისობად ზესკნელ-ქვესკნელის
გვიცქერს ხატება  პირმკრთალ ფრესკების.
ჩაკონებია ქართველთ სულები:
ჩურჩულით, ლოცვით დაუსრულებლივ.
ღვთისმშობლის მიწის განთიადია,
ივერიის მზებრ იწვის, ანთია!
.....
ღვთიურ გრძნობების დამათოველი,
ბრწყინავს მარადის სვეტიცხოველი!!!

## კვლავ მადლი ჰქმენი

როს განიხვნება აღმოსავლის ცისკრის კარები,
გადმოგვაპკურებს ღვთიურ ცვარ-ნამს მადლი  სამების,
გარდავისახავ  პატიოსან  ნინოსა ჯვარსა,
დაუდუმებლად:  მეოხ მეყავ, ვვედრი უფალსა:
მამაო ჩვენო:
საჭეთმპყრობელო
ზესკნელ-ქვესკნელის და გარესკნელის,
გულთამხილველო, თვალთამხილველო,
სულიჩამდგმელო -
ყოველივესი,
მონდობილნი ვართ შენზე მოყვასნი!
ჩვენ გულში ზიხარ,
შენ უკეთ უწყი:რანიც ვიყავით უკუნისიდან,
რანიც ვართ ახლა, ხვალ რა ვიქნებით,
მოვსულვართ ქვეყნად
ურყევი ნებით,
შენივ სახებად, შენივე გზებით.
უფალო ჩვენო:
კაცთმოყვარეო,
ამ სოფლად გულის მაცოცხლებელო,
იმ ქვეყნად სულის მაცხოვნებელო.
ხარ სიყვარული
სიმართლე ჩვენი,
შენ სადიდებელს აღვავლენთ რწმენით!
ერთარსებაო,

გულმოწყალეო,
ნათელმომფენო და მადლმომფენო,
შენით გვაქვს ძლევა ჭირთა დათმენის,
რაკი ვარსებობთ,
ვსულდგმულობთ შენით,
შეცოდებანი შეგვინდევ ჩვენი.
წმინდაო ღმერთო,
ყოვლად ძლიერო!
დიდია ქვეყნად განგება შენი.
ისმინე თხოვნა: კვლავ მადლი ჰქმენი:
გაგვიმთლიანე, გადაგვირჩინე, -
ეს საქართველო ქრისტესმიერი!!!

## სამარადჟამოდ

ჯვარი დაგვყურებს
მეფურად,
სავსე ღვთიური ალერსით,
მარტო მოკეთეს კი არა -
მტერსაც მონუსხავს დაგესლილს.
მწვანედ ბიბინებს
არმაზი,
ჭალას გაუდის ხასხასი,
მტკვარიც მდოვრედა
მდინარებს,
ლაპლაპებს, როგორც ატლასი.
ორ წყალთაშუა ედემი
სიამის გრძნობას გვანიჭებს,
გაბრწყინებულა მირონით

სვეტიცხოველის კარიბჭე!..
აქ, შემოსულა პირველად
ნინო, - ღვთისმშობლის
წყალობით,
რომ განენათლა ივერნი
ქრისტიანული გალობით.
ხელთ ეპყრა ჯვარი
ვაზისა,
მოსდევდა ხევ-ხევ
ბილიკებს,
ნასისხლარ-ნატერფალებით
გულზე ცეცხლის ალს
გვიკიდებს.
ტანთ გაცვეთოდა სამოსი
მაყვლიანით და ასკილით,
დადევნებული ქარები
ახლაც ნინოს ხმით
გაჰკივის!
მან აღასრულა ღვთის ნება,
არ იყო ეს გზა იოლი,
ერთურთს უხმობენ
ზარები
ჯვარის, ბოდბეს და სიონის.
.....
ვერ მოისვენებს
ურჯულო
(სად გავექცევით ქარ-წვიმებს)
სამარადჟამოდ ვემთხვევით
ნინო! შენს წმინდა ნაწილებს!!!

## რომ არა ჯვარი

რომ არა  ჯვარი, არმაზი, მცხეთა,
უფრო მგზნებარედ -  რა უნდა მეთქვა...
ლოცვად ვქცეულვარ ამ სერი-სერთან, -
სტუმარ-მასპინძლით  გულის საფერთა.
ალაგი  მძლეველ მრწამსითა ფეთქავს,
სულ  ფრთებგაშლილი მოვფრინავ, მეც თან.
ჩემს ძმებს მაგონებს ყოველი ბორცვი,
მამულისათვის დაუღლელთ ლოცვით,
მიწას , -  ვით დედას ძუძუს ვუკოცნი...
მე, თქვენი სისხლი, სისხლი და ხორცი!

## ტაძარს  მზედ ენთო

დიდებულება, სხვა რა არის,
თუ არა, ჯვარცმა...
ეს კი, პირველად
აქ  იწამა  ქართველმა კაცმა.
სად, დრო იცინის, ამოტვიფრულ
ლოდის პირითა...
წარსულის ლანდმა ტანში გამცრა -
ქარ-გაყინვითა.
კედელთ  ჩუქურთმამ  ამიშალა
ლექსის ქარაგმა,
გულს  გრძნებით
შეძრულ -  გამეხებულს  რაღა განაღმავს.
მზერა  მოკვეთილ მარჯვენიდან
ვეღარ დავძარი...
ტაძარს  მზედ ენთო, უკვდავ გმირთა
სულის  ხანძარი!..

## გრიგოლ რობაქიძის მოლანდება სვეტიცხოველში

მზე მცინარებს და მივდივარ მცხეთას,
მწიფობისთვეა,  ცაა ნათელი...
სვეტიცხოველში ქართველმა დედამ
გრიგოლს დავუნთო უნდა  სანთელი.
თაფლივით წვეთავს მადლი მირონის -
ჯვარზე გაკრული ქრისტეს ხატიდან,
თვალებწყლიანი ვუცქერი გამჩენს,
რაღაც გრძნეული ცამდე ამიტანს.
მიჭირავს წიგნი: „აკაკის ქნარი“ –
და ფიქრი მრავალ შეკითხვებს ბადებს...
კედლებს ვეხები და მეჩვენება,
გრიგოლის ლანდი აქვე ფარფატებს.
მზედ ჩაფერფლილი წიგნის ფურცლებში
უკვდავებისგან რა ძალამ რა ჰყოს?!
ღვთითკურთხეულმა სახელი თვისი
სიცოცხლეშივე თავად უკვდავყო!
ეჰ! ვინ ჩაწვდება მის ფიქრებს, წუხილს, -
ბობოქარ  გულს და გრძნობების ვულკანს...
ღვთიური  გზნებით გონგახელილი,
სულ სხვანაირი ვბრუნდები უკან.

## ხარ  სულიერი მამა ქართველთა

ისე დიდი ხარ, ერის მამაო, -
სათქმელი როგორ გაგითამამო?!

ღვთის და ბუნების მადლით შობილო,
ოდით აღივსე ღვთიურ მცნებებით,
საქართველოსთვის თავდადებულო,
ერს მოძღვრავ ბრძნული შეგონებებით.
გიბრწყინავს სახე მადლით ცხებული,
გულგონიერო, - სათნოვ ბუნებით,
გვავსებ მომავლის რწმენით, იმედით,
წინამძღოლობით და რუდუნებით.
საქართველოა შენთვის სანთელი,
ღმერთს რომ ავედრებ ყოველ ცისმარე,
დღევანდელობის ჭირ-სატკივარი...
ციურ  ლოცვებით გაგვისიზმარე.
ხარ სულიერი მამა ქართველთა,
სიტყვით და საქმით მარად მზიანო,
შენ  შეგიყვარა ერმა ივერთა,
ქვეყნად სიკეთის თანაზიარო!..

## ღმერთს ვუსმენთ

წინ დიდებული მიდგას ტაძარი,
გონი წამერთვა ფიქრთ ნახანძრალი.
შვილთა ივერთა მესმა ღაღადი,
სვეტიცხოველთან ზეცად ავმაღლდი.
მირონი დასდის ჯვარსა და მცხეთას,
ნაიარევით გარდასულ დღეთა.
არაფერს ამბობს: არაგვი, მტკვარი,
სიოც არ იძვრის არავითარი.
.....
ღვთის ძალით ფეთქავს ირგვლივ ყოველი,
ღმერთს ვუსმენთ მე და სვეტიცხოველი!!!..

## სვეტიცხოვლის საძირკველთან

დავხედე, შევკრთი, თან ვინატრე:
ეს ქვა მე ვიყო!
ბეჭზე რომ უდევს სვეტიცხოვლის
თავსასთუმალი.
დაუსაბამოდ - ქედდრეკილმა
მოგძახოთ, გიხმოთ:
ფეხზე დავუდქეთ საქართველოს
ჭირისუფალნი!
აქ, ყოველ ქვაში დიდ წინაპრის
იგრძნობა სუნთქვა,
აბა, სცადე და, ნუ მოისმენ,
ქართველი თუ ხარ!!!

## ვერ გადაგვიჭრეს იმედის გზები

გადუთქერია მრავალნი დრო-ჟამს -
ბუღრაობს, კვლავაც შვენის სიმარდე,
ღვთის სიყვარულით ქართველთა მოდგმას
მზე - უკვდავების ნიშანი ადევს.
თმენის ღადარში გრძნობებს გაცრეცილს
სამების მადლით - ვიოკებთ დღემდე,
გულანთებულნი რწმენის ქარცეცხლით
კვლავაც ვილოცებთ - „ათას წლის შემდეგ“.
ბევრჯერ დაგვადეს ქედზე ბორკილი,
ვერ გადაგვიჭრეს იმედის გზები,
მარად სინორჩით ტანგაფოთლილი -
სული ზეცისკენ ისწრაფვის გზნებით.

## ვლოცულობთ შენზე

მთიდან დამყურებს ღვთის ტაძარი
ახლადნაგები,
სული წინ მისწრებს, მივუყვები
ხვეულ აღმართებს,
დედასამშობლოს სატკივარით
დავალ ნაგვემი,
იმედის მზეო, ამობრწყინდი,
ამოანათე!
მეც ღვთის შვილი ვარ, ამ ტაძრისებრ

გამოძერწილი,
როგორ მომხიბლავს სხვა სამოთხე
უცხო მხარესი,
ღმერთო! შენც უწყი, შეგღაღადებთ
გულდაფლეთილნი,
იქნებ ალაგმო მამულიდან
მტარვალთ თარეში.
დავდივარ, დამაქვს  სნეულს გული
ფიქრაწეწილი,
რით შევეშველო დედულ-მამულს
დარდით გალეშილს,
ჩემო ქვეყანავ!  გნატრობს შვილნი
გადახვეწილნი,
ვლოცულობთ შენზე, -  ცრემლჩამდგარნი
მარად თვალებში...

**მარადისობა**

ქვეყნისთვის ჩვენ ვართ
სიცოცხლის ძღვენი
და წუთისოფლის ერთი ფურცელი...
ვიღაცა გვტოვებს,
ვიღაცას ველით,
ზესკნელ-ქვესკნელი რჩება უცვლელი!
მადლობელი ვართ,
 უფალო შენი,
შენ ყველაფერი საოცრად გშვენის!!!

**შთაგონებული  მამა აკაკის ლოცვა- კურთხევით**

წუთნიც ენთებიან ზოგჯერ დაბინდების,
გულს ნუსხავს სიცხოვლე - მოძღვართა ბგერათა...
ლოცვა იდუმალი - თავთან გარინდების
სულზე მომდებია  მზე ათასფერადა.
კრძალვა- მიახლებით  წმინდათა ხატებთან -
ხარ ხელაპყრობილი  მგზნებარე მლოცველი,
ვგრძნობ ქვეყნიერება  წამებში განათდა,
წყალობით უფლისა, -  ყოვლისა მომცველის.
.....
ღვთისა მსახურებას მოაქვს სიხარული:
ლოცვით მადლიანით სულთა დამამშვენი,
ღამეულ გულებზე  ვითარც მიმთვარული -
მზევდება იმედი, -  სულის გადარჩენის!

**შემთხვევა მამადავითის ტაძარში**

პაწია  გოგო სულ ერთი ციდა -
მიმზერდა მალვით, თითქოსდა მცდიდა.
მერე და მერე გამითამამდა
(იქნებ სიცოცხლე ღირდეს ამადაც!)
პატარა ხელით თმებს მიჩეჩავდა,
თითქოს ჩემს მკერდზე ყოფნა ეწადა.
რაღაც  იდუმლად ვგრძნობდი მის ალერსს
და ცად ავყავდი ხილვებს ბრწყინვალეს.
მაინც რა ნახა, ჩემში ასეთი
(ამ ტაძარივით სულო გამზევდი!)
.....
გამომარკვია რეკვამ მნათისა,
გულს ჩამეღვარა სული ნათლისა.

## სულის თაკარავ, ჩუქურთმავ!

ქრისტესებრ ჯვარზე გაკრულნო,
ჩვენო ხანძთავ და ხახულო,
თქვენს ფრესკებს ჩამოქცეულებს
ძილშიც ტკივილით ვნახულობ.
მზე იმედივით დაგცქერით,
ხან გიწერთ სევდის მონეტებს,
არ ვიცი, რა მემართება,
გულზე ასე ვით მომენთეთ.
.....
სულის თაკარავ, ჩუქურთმავ
(დარდმა როგორ არ იქუხოს!)
საყდრის უძველეს კადლებთან
ნეტა, უფალი  ვის უხმობს?!

## მიწას ვემთხვიე

გზაზე  მზე  შემომეყარა -
ტაძრად მიმავალს წირვაზე,
მკერდს სიო მომეფათქუნა
ვიგრძენ სიგრილის სინაზე.
მიწას მუხლჩოქვით ვემთხვიე
კვირაცხოვლობის დილაზე,
უფალს მადლობა შევწირე -
ბედნიერ წამის ხილვაზედ!

## ჯვარის მანდილი

სვეტიცხოველთან ფართოდ გაშლილი -
სივრცეა, ირგვლივ ლაღი და მშვიდი...
გვერდით ბაღში წევს მამულაშვილი,
მამულისათვის - აუ ! რა შვილი.
არეს ახურავს ჯვარის მანდილი,
ზეცას წვდენია მადლი ამ დილის.

## განათებული ტაძარი

მზემ  ჩაათავა ცის კალთა -
მთებს იქით, დასალიერთან...
კაცის თვალს და გონს იტაცებს
მკაცრი ჩვევები ძლიერთა!
მთის ფერდზე უფლის ტაძარი
შორით მოჩანდა ბინდბუნდად:
დღე-ღამე შავი, ყომრალი
ქვეყნად სულიერს ვის უნდა?!
ჰოდა, უმალვე  ტყე-ველი
მთვარემ ვერცხლისფრად შეღება,
თითქოსდა შავი ქვესკნელი
ამოანგრიეს ხევებმა.
მოაქვს სიცოცხლე ქვეყნისა -
კურთხეულ აის-დაისებს,
ღვთის ამღლების ტაძარი
გაღმით მოჩანდა  მთვარისებრ.

## ძეგლები

თუ ცხოვრობ უფლის ცხოვრებით,
წარსულს ვერ განეშორები...
ჩვენი წინაპრის ღირსებით
მეც სიამაყით ვივსები!
ძეგლები ვინც აქანდაკა,
დარჩა მითად და არაკად!
წარსული მზეებრ ღაღადებს,
გულებს ასე, რომ აღანთებს.
.....
შვენის (დიდება ქვაშია!)
ძეგლებს ჩუქურთმა - არშია.

## ღმერთო მაღალო! შენ გევედრები...

სული პოეტის არის უძირო,
როგორც სამშობლოს კრიალა ზეცა,
წუხელ სიზმარში დედა ვიხილე -
თოვლივით თეთრი სამოსი ეცვა.
იდგა კარებთან ხელაპყრობილი,
აღმოსავლეთით ჰქონდა პირ-სახე,
ტკბილხმად მესმოდა მისი ჩურჩული, -
უმალ პირ-ჯვარი გადავისახე.
მერე მთისაკენ სულმა წამძლია,
თეთრად ყვაოდა ტყის პირს ცირცელი,
გამოვიღვიძე პატარა ბავშვმა

დედის რძისაგან ისევ პირსველი.
აღარ მასვენებს ადგილის დედა,
მინდორი. წყარო და ძველი ყორე,
ცხადშიც, სიზმარშიც მელანდებიან,
მივძახი ველებს: „ოლე, ო, ოლე!“
ეჰ, მერამდენედ ჩემში ცოცხლდება -
ჩემი ბავშვობის ბუდე - მზის კუთხე,
ღმერთო მაღალო! შენ გევედრები:
ეს სანეტარო  მხარე მიკურთხე!

## არასდროს დავმთავრდებით

ანგელოზთა კრებული
დღემდე მიმღერს  „ალილოს“,
სული ღვთისგან რგებული,
ცამდე  ამატანინოს!
ქვეყნად მოვლინებიდან -
მფარველობენ განგებით,
შეძრული ვარ სმენითა:
„მრავალ... ჟამის“ ჰანგებით....
მიწას ვედუდუნები,
ზოგჯერ ზეცად ვმაღლდები...
მარადიულ დინებით -
არასდროს დავმთავრდებით.

## ადამის მოდგმავ!

ჩვილი იღვიძებს ღმერთის თვალებით...
ანგელოზები ფრთხილად ახებს ფრთებს,
სიცოცხლის მზეს ნუ აეფარები, -
ღიმილს ზეცისას  ნუ შეაფერხებ.
ადამის მოდგმავ, ფიქრთა წვალებით
ზოგჯერ მოყვასსაც სულში ჩახედე,
ჩვილი იღვიძებს ღმერთის თვალებით...
ღიმილს ზეცისას ნუ შეაფერხებ.
წუთისოფელი მწველი წამებით -
გულს გადარხეულს  კლდისებრ ამეხებს,
სიცოცხლის მზეს ნუ აეფარები -
ღიმილს ზეცისას ნუ შეაფერხებ.
.....
ჩვილი იღვიძებს ღმერთის თვალებით...
ანგლოზები ფრთხილად ახებს ფრთებს.

## ღმერთის  დიდებით  ივლის

ტაძარში  შედის კრძალვით -
დედასთან ერთად ანა,
მანდილს ისწორებს მალვით,
უბრწყინავს თვალი თანაც.
უკვე  ჩვეული წესით -
რიდით ახედავს ხატებს,
პირველად პირჯვარს იწერს
და მერე სანთელს ანთებს.
მოძებნის თავის კუთხეს, -

სადაც მეგობრებს ნახავს,
ღვთის სადიდებელს უსმენს,
ლოცვებს აყოლებს ნაზ ხმას.
ეზიარება დილით...
საღამოს ზეთსაც იცხებს,
არ ეშინია წვიმის
და არც აწუხებს სიცხე.
.....
ანა ცხოვრების გზაზე
ღმერთის დიდებით ივლის,
მისი სიცოცხლის დღეებს -
მარად შერჩება ხიბლი.

**ღმერთმა ინება**

ხორცი და სული ერთმანეთის
მტრები ყოფილან,
მაშ, უდღეურად წუთისოფლით
რად გაყოფილან...
ხორცი მძიმეა, ბევრჯერ ცეცხლის
მომთები სულზე,
ვის გაჰყოლია, - ქვეყანაზე
ბოლომდე სულ მზე?!
შერკინებულან ამ საწუთროს
უმძიმეს ყოფას,
ღმერთმა ინება მათი ერთად -
ყოფნა-არყოფნა.

## ენა ქართული

ტყვე ვხვდები ზოგჯერ მოვარდნილ მუზის,
მერე სხვაგვარი ცეცხლით ვენთები...
ხან  ვფიქრობ: ვინ ვარ, რისი მაქნისი,
როს პოეზიის გვყვანან ღმერთები.
მხოლოდ მათ შესძლეს მოფერებოდნენ
მშობლიურ ენას, ვით ღმერთის სიტყვებს,
იფერფლებოდნენ ფარვანასავით,
ტოვებდნენ ლექსებს ბრწყინვალეს მზისებრ.
ვერ დაივიწყებს მათ ამაგს ერი
(ყველას უკურთხოს ღმერთმა მარჯვენა!..)
არად უჩანდათ თვით სიცოცხლეც კი,
ქართული ენის გადასარჩენად.
.....
უკვდავი არის ენა ქართული,
ღვთისმშობლის მზით და ცით დახატული!

## წიგნი

წიგნი განძია ყველა განძს შორის
გამორჩეულად, უკვდავყოფილი...
ვინც შეიყვარა ამაყად დადის -
ვითა სიცოცხლე - ქვეყნად შობილი.
ცისარტყელაა  სტრიქონი  წიგნის,
ჩვენი გულია  -  მისი საყდარი...
წიგნი მარადი წყაროა სიბრძნის,
სულის უმაღლეს განძთა სადარი.

წიგნი საქვეყნო სამსახურისთვის
ჩამოგვიგზავნა ალბათ უფალმა
და ქართულ სიტყვის ყველა მოშურნეს
თავზე მეხივით გადაუტარა!
წიგნი რომ არა, თუნდ ძირძველ ჯიშით,
ვერ ვიქნებოდით ასე ცნობილი...
მარადისია სიტყვა ქართული, -
ვით ღმერთის ენა ცაში შობილი!!!

**ლექსის დედოფალი - ანა**

ლექსში ამდენი მზე ვინ ჩათესა
და გული სათნო, ასე ვინ გასცა,
შენი  ტკბილი ხმა უფალს ცად ესმა
და მერე ცამაც ზე-აგიტაცა.
შემინდოს ღმერთმა (სიკვდილს რა ვუთხრა),
ჭეშმარიტებაც ზოგჯერ ჰგავს იგავს,
ლექსის დედოფლად ღმერთმა გაკურთხა
და სამშობლომაც ძეგლი დაგიდგა.

**პოეტი ქალის სიმღერა**

გულში სიამის ტალღა მღელვარებს
და სულს აჟღერებს მშობლიურ ჰანგით,
როცა კვნესაა ქალის სიმღერა,
ანდა ნამდვილი ტკბობა და ბანგი!
ზოგჯერ დარია ქალი ალისა,
მზესავით თბილი და გაბადრული,
გრძნობით ნაშობი სიტყვა ქალისა -
სულის შვებაა ცამდე ასული!..

## სიყვარულის წიგნი

ამ  პატარა  წიგნის შექმნა
სოფლის მადლმა შთამაგონა,
ქვეყნისა და ხალხის თბილ გულს
უფრო ძლიერ ჩამაკონა.
მოფუსფუსე ჩემი სოფლის
უბეში ვარ გამოზრდილი,
წარუშლელი ბილიკები -
ნეტავ ასე რად მომტირის?!
თუ რამ ძალა გამაჩნია -
უნდა შევეჭიდო ავ დროს,
რომ, წარსულს და მყობადს შორის
ჩემი წილი ხიდი გავდო.
თუმც, სულ ვცდილობ, გავუფრთხილდე -
დანატოვარს წინაპართა,
რომ ხარობდეს ეს ქვეყანა
ღვთით საქებარ ბულბულ-ვარდთა.
მივუყვები ძველ ნაკვალევს
შეურყეველ წესით, რიდით
და ნელ-ნელა იწერება
ესე, -  სიყვარულის წიგნი.
თუ, მკითხველთა სული ოდნავ
გათბება და განათდება,
იქნებ, მაშინ ჩემს მოსვლასაც -
მოეძებნოს გამართლება.

## პოეტის გული

პოეტის გული მზეებრ თბილია,
ბავშვივით სუფთა და საყვარელი,
არავის ესმის მისი ტკივილი, -
მხოლოდ ღმერთია მისი მფარველი!
სძულს კაცი ბნელი, უყვარს სიმართლე,
მშვენიერებას უცქერის რიდით,
პოეტის გული - გულია ღმერთის -
რა უნდა იყოს ამაზე დიდი!!!

## ქვეყნიერების შემოქმედს

რა სამოთხეს მაზიარე, -
ჩემი ქვეყნის შემოქმედო,
ზოგჯერ, სიტყვებს ვამზიანებ,
ზოგჯერ, იქნებ კიდეც ვყბედობ.
შენით არის ყოველივე,
შენით , - ჩემო ერთადერთო!
მომიქარგე მამული და
მომიმატე გულის ძგერა,
ლამის თავზე შემოგავლო
ანაჟღერი ყველა ბგერა,
შთამაგონე სიყვარული,
მათქმევინე ეს სიმღერა...
ლექსი, შენით ფრთაშესხმული
მთის ბროლივით არის წმინდა;
გულუხვო და მადლიანო,
ჩაგეკონო გულში მინდა!

## კვლავაც აგიგინდება

ჟამგადავლილ ფურცლებზე
ნაწერები ღაღადებს...
წარსულ დღეთა ვარამი
გულზე მაწევს დაღად მე.
წამკითხველი არა ჩანს,
იწვის და წუხს მწერალი,
დრო და ჟამის სიმუხთლეს -
შეაჩერებს ვერავინ!
მჯერა, სიტყვებს ნაკვნესებს
ნაწრთობს სულის ღადარში,
ვიღაცა წაიკითხავს
როცა  ჩემს წიგნს გადაშლის.
ვინ თქვა თითქოს დაკარგა -
სიბრძნე - ფასი წიგნებმა,
მერმისს ყველა სტრიქონი
კვლავაც აგიგინდება!

## მუზების მზე

ლექსო, სულის მარგალიტო -
ვხარობ შენი სტრიქონ-ბწკარით,
სულში ხატად ჩასახულო,
შემიხსენი გულის კარი.
ამადევნე ნისლთა ფიქრებს,
მთებში გიდევს სასთუმალი,
პოეზიამ შეგვაერთა
ჯადოსნური ცეცხლის ალით.
გული ვინ გადაგიღობოს?
უსაზღვროა შენი ფასი,

სიტყვებს მაწვდი სალაღობოს -
მაცოცხლებელ გრძნობით ავსილს.
.....
გზებს მიკვალავს მზე მუზების -
მობრიალე კოცონითა,
პოეზიავ, ძუძუ შენი
სათნოებით ვკოცნო მინდა.

**კაცნი ბრძენნი**

დაისჯება, ვინც წარსული
დაივიწყა, გაისხვისა..
წინაპართა ნაკვალევი
შუქურაა ხვალის დღისა.
რუსთაველი ცისა არი, -
მის სიტყვებში ღმერთი ვცანი!
სულ ბოლომდე სიბრძნე არის
მისი „ვეფხისტყაოსანი“.
ვისთვის - მწარეს, ვისთვის - ამოს,
ჩანგს აკაკის არ ჰყავს დარი:
საქართველოს სიყვარულში
ჩაფერფლილი და გულმკვდარი!
ერის მამას, დიდ ილიას
ხალხის გულში უდგას ძეგლი,
დრო ვერასდროს შეეხება
ქართულ გენს და ქართულ გერგილს!
კვლავ უმრავლე, ღმერთო, მამულს
კაცნი ქველნი, კაცნი ბრძენნი,
სხვა ვერავინ ვერ იქნება
ჩვენი ქვეყნის გადამრჩენი!

## გალაქტიონი

ზურგი აქცია ჟამს უჟამურს, -
ვით ბრბოს უმეცარს,
ინატრა რიგში ჩაწყობილი
ტყვია ცამეტი...
მერე კოსმოდრომს დედამიწის
მოწყდა უეცრად
და მარადიულ თანამგზავრად
იქცა პლანეტის!

## ვაჟა თვით იყო მინდია

ვაჟას  ნაწერთა კითხვისას
სული ღვთის მადლით გვევსება...
შემოუარეს მსოფლიოს
სიბრძნით ნაწერმა ლექსებმა.
იცოდა ენა ყოველთა,
სული მზედ ჰქონდა გაშლილი...
ის მთაში იშვა, რომ ღმერთთან
ჰქონოდა ახლო კავშირი!
ვაჟა თვით იყო მინდია,
ციდან მუზათა მხმობელი,
ბუნების უთქმელ ტკივილთა
მოზარე, ამომცნობელი!
მისი ყოველი სტრიქონი
წყაროსებრ მოედინება,
კურთხეულს დრონიც ვერ წაშლის, -
უფრო  და უფრო ბრწყინდება.

## მეფე - პოეტი

ზეციურ მუზებს ყრმობიდან
გაუღო სულის კარები
და აწრთო გულის ქურაში
მზედ მოელვარე პწკარები.
ჟრჟოლვით დაივლის მთელ სხეულს
სტრიქონი მისი ყოველთვის...
ცათა ქარიშხლებს შერთვია,
უკვდავი სული პოეტის.
გულ-სისხლით წერა ლექსები,
ელვის თვალივით მკვესავი...
მეფე-პოეტის გენია
გაბრწყინებულა მზესავით.
მისი ფიქრების მოწამე
ახლაც ბობოქრობს რიონი...
ლექსით უკუნეთს აშუქებს -
მღელვარე გალაქტიონი.

## იაკობ გოგებაშვილი

იაკობ გოგებაშვილმა
აგვინთო ცოდნის ლამპარი,
შეგვატკბო  მზე  დედა ენის -
როგორც ქართული ზღაპარი.
მის სანთელს არვინ ჩააქრობს,
უკვდავყო თვისი სახელი,
ვიდრემდე საქართველოში
იქნება ერთი ქართველი!

**პოეტი ეპოქა**

რამდენს უწეწავს, უთუთქავს
მისი ხსენება სურვილსა...
ლექსებით მოაჩუქურთმა
აუზი ქართულ სულისა!
მემკვიდრეს ლურჯი შორეთის
წილად ხვდა, რომ ებობოქრა...
გალაქტიონი პოეტი?!
არა! - ის იყო ეპოქა!!!

**საღამო მთაწმინდაზე**

გულში გამჩრია ისრად
წლები ნისლით და თქორით,
სვეტი კიაფობს ნათლის
კლდეთა ნაპრალებს შორის.
ჩავცქერი მთასა მდუმარს,
რჩეულთა ძეგლებს - წმინდას,
მუხრანი - ბობოქარი,
აქ განისვენებს მშვიდად.
. საფლავს მთაწმინდის მთვარე
მტრედისფრად აფერადებს,
სულით შერთვია ვარსკვლავთ -
მაისის წითელ ვარდებს.
.....
არ გაწყვეტია სიტყვა,
ვით მომნუსხველი ქარი,
კვლავ ხნავენ ქართულ მიწას
რქანი ბებერი ხარის.

**პოეზიის რაინდს**

**ჯანსუღ ჩარკვიანს**

სხვა ფასი ადევს, თქვენს სიტყვა-პასუხს,
ლექსის მაესტრო, ბატონო ჯანსუღ!
ლექსებს თქვენეულს ის ხიბლი ახლავს -
დარდმა გული, რომ ერთობ არ დახრას!
როგორც ტანკორძი - ქართული ვაზი,
იბრძვით ბოლომდე სიტყვით და აზრით!
ზოგჯერ მგონიხართ დანამეხარი
მუხა...სამშობლოს ზეცას შეხარი!
ვერ თრგუნავს თქვენსას გრძნობებს ამინდი,
ხარ პოეზიის ნაღდი რაინდი!
მზისებრი გული ღმერთმა გაჩუქათ, -
ლექსებში მარად რჩებით ჭაბუკად!!!

**ნოველების დიდოსტატო!**

**რევაზ მიშველაძეს**

ქვეყნის წარსულ-მომავალი
წიგნად უნდა წერო, ხატო...
გიჭრის გონი, როგორც თვალი,
ნოველების დიდოსტატო!
ყველაფერზე გტკივა გული,
დალოცვილო უფლის მადლით,
არ იქნება დაკარგული -
ჩვენი მიწის ერთი ადლიც!
წარსულს ჩვენსას ხედავ ნათლად,
მასაც, რაც მოხდება აწი...

ღმერთმა ნიჭი დაგანათლა,
ყველაფერზე დიდი განძი!
სიტყვა შენი გულს აკვდება,
კალამს შენსას, ბევრი ნატრობს...
შენთან დადის უკვდავება,
ნოველების დიდოსტატო!

**საუკუნეებს გადააშუქებს**
**ისევ გალაქტიონს**

იდგა მარტი და გრგვინავდა ზეცა,
თავ-პირს იმტვრევდნენ ტოტები ქარში,
შენ მიფრინავდი დიდ სივრცეებით -
ჟამს მოწყვეტილი, - ობოლი ბავშვი.
ჩამოდიოდნენ მუზები ციდან,
გეგებებოდნენ ზღაპრულ იებით,
გულს სიხარული ყოფნიდა ციდა,
სულში გესახლა მზე პატიების...
მოგვირისტებულ ლექსთა ჩუქურთმით,
უდიადესი გაკვალე გზები,
მარად დაგდევდა შური და ლიქნი -
აღტკინებული სხვა წვით, სხვა გზნებით.
ჯვარცმულ სიცოცხლის ბორგვა და შფოთი
შეუწყვეტელი ფიქრით მდაგავენ...
.... საუკუნეებს გადააშუქებს -
შენი დიდება და სისადავე!...

## ფიქრები შოთა ნიშნიანიძის საფლავთან

გარდასულ სულთა
კრძალვით და რიდით -
ფიქრში ჩაფლული
ქვემოთ თავს ვხრიდი.
დატყვევებული
გრძნეულ ზმანებით...
თითქოს მიხმობდნენ
ცისკრის ზარები.
ცრემლმორეული
ვიდექ საფლავთან,
შოთას სიშორის
სევდა მზაფრავდა!
სტრიქონი მისი
კვლავ სიბრძნით გვავსებს, -
ღვთის სიყვარულით
და მადლით სავსე.
სულით დაგვყურებს
ზევიდან ახლაც,
მის სიტყვებს
სითბო და სიღრმე ახლავს!
იცოცხლებს ქვეყნად
ხმატკბილი ლექსით
და პოეზიის
უჭკნობი ფესვით!
მოგონებებში მარად ჩანთქმულნი -
აშრიალებდნენ ტოტებს იფნები...
და აწეწილი მარტის ქარებით
ზეცას ერთვოდნენ ჩემი ფიქრები...

## იმედის ბურჯი

უკუღმა ბრუნავს -
ცხოვრების ჩარხი
და მეც ლაქსს ვუმხელ
ისევ ხვაშიადს...
უნდა  ვაჟღერო
იმგვარად  ქნარი, -
რომ გამომიცნონ
ათას  ხმაშიაც!
მე მშობლიურმა
ქარებმა მიიმეს...
განქარდებიან
დღეები ურჩი.
კვლავ ვიხმაურებ
სიცოცხლის რწმენით,
ვიდრე მზე გვადგას
იმედის ბურჯი!..

## ნუ იტყვით

ნუ იტყვით, - ჩემზე ძვირს-აუგიანს,
რომ ეს ცხოვრება ვერ აუგია...
ვერ მოვასვენე მბორგავი სული,
ვთელე დღეები მძივად ასხმული.
ვაშენ-ვანგრიე, ვიყავ შრომაში,
მერჩოდა ძალა, ალბათ, ჰო, მაშინ.
ცოტაც სოფელში, ცოტაც ქალაქში,
ვარ გამომწვარი ნაცარ-ღადარში.
საკმარი გულის, - ვერ შევძელ მაინც

(ჩვენით გვჭირს ისიც, გვაფიქრებს რაიც).
გარჯაში  გავლილ - დიდება იმ წლებს,
დრო დარჩენილი დუელში მიწვევს.
ვარ  წინაპართა ჯიშის, ადათის,
ქართული სიტყვის ერთი „სალდათი“.

**ივლის მზესავით**

**ბიეტა აბშილავას**

გეწევა მაღლა შთაგონება
ლექსით განბანილს,
თითქოს მამული მოგიქარგავს
ოქროს ანბანით.
ქართული ენის ძალა, მადლი,
მშვენიერება -
შედევრად შექმნეს დალოცვილმა
შენმა ხელებმა.
ოქროსფრად ბრწყინავს აბრეშუმზე
სიტყვის დიდება
(ქართული ნიჭი კიდევ მრავლად
გამობრწყინდება!).
ქმნილება შენი - როგორც ხატთა
ჩუმი გალობა,
ივლის მზესავით, ქართულ სიტყვის
უკვდავსაყოფად!

## ვის დავაკლდები

მოვიწყენ, შემესევიან
თვალმოცქრიალე მუზები,
გული მიიწევს სამღერად -
 გრძნობა მოსკდება სულზე ვით.
დაიწერება თავისით
მზედდანაფერი ლექსები,
ვარ მადლიერი უფლისა, -
გულს არვის არ ვესესხები!
მიიპარება დღეებიც
ზამთრის ჩამავალ დღესავით,
ეხ, წასულს ვინ მომიგონებს,
ვის დავაკლდები ნეტავი?!
და კვლავაც ვრჩები ნატრული
(სხვა არც მადარდებს, ო, სულაც),
მზისფერად განვლოს  სიცოცხლემ,
ვიდრე წასვლის დრო მოსულა!..

## მზიანი  სიტყვა

კეთება არ გვიანდება
სიკეთის...შენს თავს ვის ადრი?
კიდევაც ჩამოღამდება,
კვლავაც, ინათებს მზის მადლით!
ეცადნენ ენის წართმევას
ბევრჯერ - ცეცხლით და მახვილით,
არ ვუტოვებდით არჩევანს, -

უფალს ვასმინეთ ძახილი!
პოეტის ფიქრი ლექსია,
მზიანი სიტყვა სამშობლო!..
ვერავინ გაგხდის გესლიანს,
ენავ,  რუსთველის ნაშობო!

## ვინ იგრძნო ცეცხლი?

რაგინდ გწამდეს და გიყვარდეს ძლიერ,
გულის ნადებს ვერ ამოთქვამ ენით...
ყველა პოეტი მიელტვის ციერს
ფიქრით, ოცნებით და აღმაფრენით.
ვის ჩამოესმა ციდან ზარები,
ვინ მოაბრუნა დღე გაფრენილი?
ვის მოჭრა თვალი მზის ელვარებამ,
ვინ იგრძნო ცეცხლი გულს გაჩენილი?!
იქნებ ვერავინ ვერ დაგინახოს, -
„რაიც არ ხდება გიკვირდეს იგი“...
ძნელია, ძნელი მისვლა მზის ახლოს,
ცხოვრება ყველას არ ადგამს გვირგვინს!
 რახან ყოველი არის ღვთის ნება -
ლურჯ ოაზისად იქცეს ლანქერი
და შენც მიჰყევი დროთა დინებას,
ვით მოქაფქაფე თეთრი ჩანჩქერი.

**26  მაისი 2011 წელი.**

არა  ჩანს მთვარე,
ღამე არის ბნელი და უხმო,
რა უსაშველო გემართება
გულო და მუხლო!
განათდი  ლექსად...
მერე ისეც გეყოფა ძილი,
 შენც შეხვდი ციაგს,
ვით მლოცველი - სენაკში მწირი.
ჩემს თბილისს თავზე დადგომია
წყვდიად-უკუნი,
საშინელება მოდის ცეცხლით ამ საუკუნის!
.....
თენდება ღამე,
სისხლიანი, ბნელი და უხმო...
რა მოგდის, გულო,
 დაჩეხილო, უხანჯლოდ უხმლოდ!!

## განა ჩვევიათ ფიცის გატეხვა

ხარანაული, ხარხელაური,
მთის ლაღი შვილი - სულაკაური,
ფარად  უდგანან  სამშობლოს ჩვენსას,
სულ  ჩვენიანნი, სულ აქაურნი.
რაიც წიგნებში სიბრძნე ჩათესეს,
მხოლოდ და მხოლოდ ღმერთის კარნახით,
განა  ჩვევიათ ფიცის გატეხვა,
ანდა სიცოცხლე - ფუჭი ნაძრახი.
ვაჟაის დარად ფხიან ლექსებით
გაუჯეჯგიათ  მათაც ხურჯინი...
მთაგრეხილივით გადაჭდობილნი
უდგანან  მგოსანთ მხარში ბურჯივით.

## სათხოვარი

მუზავ,  ხარ  ჩემი ლექსების
სისხლ-ხორცი, სულის ნაწილი...
ხან  ზეცის ტატნობს ვერთვები,
ხან დავალ ჩემი  გზაწვრილით.
ბევრჯერ  ჩამქრალიც ამანთე
ზებუნებრივის ძალითა...
ცინცხალ  სტრიქონებს მკარნახობ
შეხსნილი ზეცის კარიდან.
ათასჯერ გამცოცხლებელო
სიბერის გარიჟრაჟზეო,
ერთხელაც ისე დამსაჯე,
სიტყვა ამოვთქვა სამზეო!..

## ისევ ქართულ სიტყვას

ხარ მარადი სიცოცხლე, -
გულის გულთან მხმობელი,
ან, ენით, ვინ გამოთქვას?
შენი სამადლობელი!

## მიგაფრენს გზები

**94 წლის სიმონ არველაძეს**

ბევრჯერ ყოფილხარ მრისხანე, მშვიდიც -
გდევდა დრო-ჟამთა მწველი ცვლილება,
ძლევით აგრძელებ სიტყვასთან ჭიდილს,
ელი სამშობლოს კვლავ გაბრწყინებას!
სული გაშალე ბევრჯერ ფერებად,
ბევრჯერ ყოფილხარ ბედზეც გამწყრალი,
მჯერა, სიკვდილი ვერ მოგერევა,
დიდ სიცოცხლესთან ხარ წილნაყარი!
მუზას მოდენილს, რომ შენზე ვწერო,
ვფიქრობ, ალბათ, ვერც გავუმკლავდები,
იმედის მზისკენ მიგაფრენს გზები,
რომ გაზიაროს ცას უკვდავების!
ჩვენ მუდამ ერთი გვაქვს გზა-სავალი,
პაპის: ბუჯერი და ქვასანაყი,
გვარის ბრძენკაცო! წლებით დაღლილო,
შენით დავდივარ ქვეყნად ამაყი!..

## გადრი ღვთისმშობელს

ო, დედაჩემო, წინმავალო, შენ ჩემო ყველავ,
შთამბერე სული, მამზიანებ მთა-ბარად, ველად,
შენის იმედით, საყვარელო, მაქვს ქვეყნად შველა,
ო, დედაჩემო, წინმავალო, შენ ჩემო ყველავ!
ვით, თვალისჩინო, უშრეტელო, სიცოცხლის წყაროვ,
უკვდავ ფესვებით ჩამაკონე ცხოველ სამყაროს.
სულ-ხორცით ვიღწვი, მტერი ჩვენი არ გავახარო,
ვით, თვალისჩინო, უშრეტელო სიცოცხლის წყაროვ!
ვარ ღვთისმშობელო, შენს ხატის წინ მე თავდახრილი,
ჩემი სამშობლოს წვით და გვემით კვლა დალახვრილი,
გემუდარები, აარიდე მამულს მახვილი,
ვარ ღვთისმშობელო, შენს ხატის წინ მე თავდახრილი.
.....გადრი ღვთისმშობელს დედაჩემო, -
    მშობელო ჩემო,
    შენი მადლია, თუ ამქვეყნად
    რაიმეს ვჩემობ!

## ჩემ ლექსებს

ლექსებო, ჩემო შვილებო,
ნასაყდრალ - ჩამოშლილებო,
გულის ტაძარში ნაზარდნო -
ღვთისგან არ განაწირებნო...
ამომავალ მზის დამხვდურნო
ჩამავლის ჩამაცილებნო!.

## მამას

მესაცნაურა ტვირთი მამისა,
როს ღამეს ვუნთე ფიქრის ლამპარი...
ეჰ, გადამტანმა ბევრი რამისამ,
ზიდა ცხოვრების მძიმე ჭაპანი.
ახლა, მეც წლების იმ ზღვართან ვდგავარ,
რომ, უკეთ შევძლო გზების მიგნება,
მამის სული და ხორცი ვარ, რაც ვარ,
აწი, ყოველი არის ღვთის ნება!
ძნელია დაცვა მონაპოვართა,
უცეცხლოდ ვიწვი და ვინაცრები,
საით მომისვრის ბედი სად დამსვამს,
უცნაურია ღამის განცდები.
.....
თითქოს ჩამესმის ძახილი მამის,
ო, გახსენებავ, წარსულის წამის...

## გულის ცრემლები

### მამიდას შვილიშვილებს

სიკვდილის ელდით გაფითრებული
ცრემლს ვერ იშრობდნენ დედის თვალები,
თავზე დაგვატყდა უბედურება -
თქვენი უდროო გარდაცვალებით.
უმწეო მზერით გაშორდით სახლ-კარს,
ვეღარ ამოთქვით ბოლო სათქმელი,
გაგიტყუილათ ქართულმა ზეცამ
და სურნელება გაგყვათ საკმევლის.

იყავთ უზომოდ თბილნი და ზრდილნი,
მოკრძალებულნი, გამრჯელნი - წყნარნი,
რით ვანუგეშოთ ოჯახი თქვენნი
პაწა  შვილები - გულით დამწვარნი...
გვეწვის ერთიან გული, ნაღველი, -
ნაწილი თქვენი სისხლის და ხორცის...
შევალთ საყდარში, დავანთებთ სანთელს,
ღმერთს შევავედრებთ თქვენს სახელს ლოცვით.
ბედის მწერალმა, ო, რატომ, რატომ?!
სულ ოცდაათი წელი გარგუნათ...
მშვიდობით, ჩვენო მწარე ნაღველნო:
დაუვიწყარნო მარი! ხათუნა!

2005-2009  წწ.  ადიგენი.

## დედის სულის სინათლე

შენგან ვლილი ცხოვრება -
მუდამ გვემახსოვრება,
კდემით სავსე ყელამდე -
ვერვინ მოვალთ შენამდე.
ვივლით, თუმცა წახვედი
შენი გადასახედით!
შვილებს გვენთე კელაპტრად,
სხვა, რა უნდა გვენატრა.
ღმერთო! ღმერთო! გვინათე -
დედის სულის სინათლე.

## აღარ მეძახი

ატმის ყვავილთა სიცილში გხედავ,
ლორთქო ბალახის ნარნარში გხედავ,
გაყურსულ კვირტთა ცრემლებში გხედავ,
აგდევნებივარ ლანდი და სევდა.
აღარ მეძახი, მშობელო დედა,
მე  ის ხმა ტკბილი, იმედებს მფენდა.
შვილებს დაგვაკლდი ყველაზე მეტად,
წინ გვედექ ბურჯად და ნათლის სვეტად.
თავზე დამცქერის კორომი ხეთა,
შენს სულთქმას ვისმენ, შრიალში ტყეთა,
დედაშვილობის გამჩენმა ნეტავ -
გიჟმაჟ მარტისთვის რად გაგიმეტა?!

## დედულ-მამულო

დედამიწის მარგალიტო,
ჩემო დედულ-მამულო, -
საყვარელო საქართველოვ
მუდამ ჯვარზე გაკრულო!
გული ჩვენი შენთვისა ძგერს,
მტერმა რომ ვერ დაგლახვროს...
შენი თავი მუხლმოყრილი
ღმერთმა ნუ დაგვანახოს!
გაჩენიდან იარების
მოშუშებას უნდები,
ღვთის  წყალობით ძველ დიდებას
კვლავაც დაუბრუნდები!

ჩვენო შვებავ და ტკივილო
გულში ხატად ჩასმულო,
დედამიწის  მარგალიტო -
ჩემო დედულ-მამულო!

**მომავლის ფიქრები**

ჯვარს გარდასახავს ჩემს სამშობლოს
ზენა ამაღამ,
დღეებს, ვით ჩვენ სულს,
მწუხრისაგან ერთობ განაღმავს.
გზებს დავიბრუნებთ,  მიტაცებულს -
აგერ ახლახანს,
დავდგებით ძმები
ჭირში, ლხინში ისევ მხარდამხარ.
გადვიხდით ქორწილს - აღმოსავლეთ-დასავლეთისას,
ზარებს ჩამოვკრავთ -
ბებერ ტაოს, მერე ხერთვისას...
ძირძველ ოჯახში დაბრუნება თუკი გვეღირსა,
თვალს გავუმართავთ
ვით წარსულის, ისე მერმისსა.
გადავსილია გული ჩემი
ამგვარ პათოსით,
მაგრამ  ვაი, თუ
ფიქრია და მხოლოდ ანონსი?!
არა! უთუოდ
გავაღვიძებთ -
მამულს დაოსილს!!!

## გამჩენმა უწყის

სიზმრად სამშობლო ვნახე მზისდარი,
თავზე ღვთიური ედგა ნათელი,
ერთადერთია ჩვენი მიზანი,
დიდება უფალს! რომ ვარ ქართველი!
გათენდა, დილა კრთება ლალისებრ,
თვალს ვერ ვწყვეტ სივრცეს ნისლებდაფენილს,
ჭაღარა მთისკენ სული მიიწევს,
წუთი  მწვევია ზეცად აფრენის.
და მაინც ისევ ვრჩები მიწაზე,
მთვარით ნაფერი და მზით ნარქენი,
ეჰ! ცხოვრებაში ბევრჯერ ვეწამე,
გამჩენმა უწყის სხვა დანარჩენი...
დიდება უფალს! მე ვარ ქართველი!

## ისევ წუხილი

თავისუფლების ფრთის გაშლას -
ვერა და ვეღარ ვეღირსეთ,
გულდამდუღრული გვივლია -
საჩინოელს და ეგრისელს...
კავკასიონით ამოდის,
შავ ზღვაში ჩადის მზე ისევ,
ზეცად აწვდილი ოცნება -
ბრწყინავს ვარდისებრ  -  ზენიტზე.
ვერ მოვუშუშეთ იარა  -
სამშობლოს ბურუსნისლიანს,
ქედს გვაწევს ყველას ზიარად
ქვეყნის საერო მისია!!!

## მშობლიურ მთას

როცა გულდამშვიდებით -
მთასთან ახლოს ვიძინებ,
ერთიანად მეხსნება
მისი ნატვრის სიმძიმე.
ვჩურჩულებ და ფიქრებში -
ტყე-ველს ვეალერსები,
ვინ ამომგლეჯს მიწიდან
ღრმად გართხმული ფესვებით.
ტყესთან ტკბობით ვერთობი
თითქმის მთელი საღამო...
შორს ჩვენგან, - გაგვეცალე,
ნაღველო და ბალღამო!
.....
გრძნობით აღტკინებული
გულში ვიკრავ სამყაროს,
მშობლიურო მთა-ბარო,
შენგან  ვერვინ გამყაროს!..

## მანგლისი

დღეს რანი ვართ და ხვალ რა იქნება, -
 მეტად ამტკივდა დრო გარდასული,
სული მომტაცეს მწარე ფიქრებმა, -
თვალწინ დამიდგა ქვეყნის წარსული:
დილას ნამიანს ხევხევ ავყევი,
აშოლტილ ხეებს არხევდა ქარი,
არსენას გვირაბს აჩნდა ნახმლევი,
მიტოვებული თვლემდა საყდარი.
აქ,  ნასოფლარზე ჩიტი გალობდა,
უმღერდა მიწის დედაშვილობას...
შორით მიწაზე ბზარი გამოჩნდა,
როგორც წარსულის ღია ჭრილობა...
თითქოს გვიმხელდა ზმანებებს მწარეს
კლდის ნაპრალებში ბუნაგნი მგლისნი...
ურჯულოთ ხელით ნაოხარ მხარეს
კვლავინდებურად ჰქვია მანგლისი.
.....
ხმლით აკუწული ბერი თევდორეს
ხსოვნის ცრემლები მიწას ალტობდა,
და მომთაბარე ქარი მედროვე
ნაღველს მოწოლილს ხევში აქსოვდა.

## ერთობა - ქართულ გენის ღირსება

ქართველ მეომრებს სისხლიან ხმლებით
გადაუხდიათ ომი მრავალი...
ბევრჯერ ქართული უტეხი ჯიშით
ვჩეხეთ და ვჩეხეთ მტერი  - მტარვალი!
ისევ და ისევ კვლავ გადაგვარჩენს
ერთობა ქართულ გენის ღირსება,
.....
ერი იქნება მარად უკვდავი,
რადგანაც უფლის მადლით ივსება!

**ცხელო  გულ-ღვიძლო!**
ჯანდაბას ყველა,
ვინც შენ შხამი ბადაგად გასვა,
რად ეტანება
ქარი მუდამ პაწაწა რტოებს?
მამულო ჩემო, გაბრწყინდები
კვლავ იმ  მზის მსგავსად,
რომელიც ბუდეს
არასოდეს არ მიატოვებს!
შენდა სანაცვლოდ
ჩვენ სიკვდილი ყოველთვის გვსურდა,
ბედგატანჯულო,
შვილთა შენთა ცხელო გულ-ღვიძლო,
გულდარდიანი,
გულმოკლული იძინებ მუდამ, -
როდის იქნება
მზის თვალებით გამოიღვიძო?!

## მივიწყებული გზები

მატარებს სევდის ქარცეცხლში
მთები: ჩინჩათის, ნანისის...
მათი სიშორის მე - ნაღველს
მთელი არსებით განვიცდი.
გარსმოხვეულნი ნისლებით
ჰგვანან სალოცავ ღვთის ხატებს,
წამოსვლის დღიდან მათი მზე -
ეჰ! მერამდენედ ვინატრე.
მათი მადლით და წყალობით
აქამდე სული მაისობს,
ახლა, გულ-გონი დარდიან
ფიქრთა ამალამ ამივსო.
მესიზმრებიან, ტკივილის
გულზე ცეცხლის მდის ღვარები,
კაცი არ მოჩანს იმ გზებზე
უწინდებურად მარები.
ვლოცულობ ყოველ სისხამზე
მათკენ მიპყრობილ თვალებით,
ო, ნეტავ განახლდებოდნენ
ნასოფლარ-ნასახლარები.

ჩინჩათის მთები ვანისა და
ბაღდათის ზღვარგამყოფია.

## მამულო ჩემო

მამულო ჩემო, წინ მიდგახარ
ღამით და დღისით,
შენი შვილობის
ვარ, თუ არა ვარ
(სულ ვფიქრობ) ღირსი.
მაშინ მოგიკვდე -
თუ გაკადრო
საქმე, რამ ბილწი...
თუმც კარგად უწყი!
დღენიადაგ
როგორაც ვიღწვი.

## ქარაშოტი გადივლის

ცხოვრების მღვრიე მდინარეს
მივყვებით გულდაზაფრულნი,
ზამთარი არ ჰგავს ზამთარს და
ზაფხულს არა ჰგავს ზაფხული.
ამ დალოცვილმა ბუნებამ
გზებზე რამდენჯერ დაგვცოფა,
ხან ქარბორბალად მოსკდება,
ხან თავს გვატყდება ღვარცოფად.
განსაცდელს რა გამოულევს
სამშობლოს თვალებხატულას,
დღეებმა გადავლილებმა
სიმშვიდე გაგვინატრულა!
მომავლის იმედს შევხარით
ახალ დიდებას გვპირდება...
ეს ქარაშოტი გადივლის, -
ჩვენი მზეც ამობრწყინდება!

## მამულო გენაცვალები!

ამწვანებულმა მიდამომ
გული ამივსო ლოცვითა,
მზე ხეთა გაშლილ ტოტების
ჭუჭრუტანიდან მკოცნიდა.
ფეხდაფეხ  დადევნებული
ვტკბებოდი მე მზის ფერებით
და ჩემთან ერთად ბრწყინავდა
გაღმა-გამოღმა სერები.
მიმაცილებდა აღმართზე
ლაღი ფოთლების შრიალი,
თვალს იტაცებდა მთის წვერზე
ცათა სილურჯის ციალი.
გზად მოყვავილე ხე-ბუჩქებს
ვერ ვაშორებდი თვალ-გულსა,
უხვად ეფინა ღვთის მადლი
აბიბინებულ მამულსა!
დასიცხულ სულს მიგრილებდა
ანცი - საამო ნიავი,
კაცივით მესალმებოდა
მთის ღელე ჩხრიალ-ჩხრიალით.
ქვეყნის სიყვარულს ვატარებ,
მზისებრ თბილსა და თაკარას...
მამულო გენაცვალები, -
არ შემიძლია სხვაგვარად!!!

## ნურვის გაიმეტებ

მომავლისთვის რას აპირებ?
გეტყვი, ჩემო სისხლო, ხორცო!...
ხშირად ჩვენს თავს დავეკითხოთ,
ერთმანეთი რომ არ ვხოცოთ!
უნდა მამულს ვუპატრონოთ,
დედულს ძუძუ დავუკოცნოთ,
მტრობისა და შურის ნაცვლად
შევეფიცხოთ ძმობის კოცონს!
დრო დამდგარა, აღვასრულოთ
წინაპართა სიტყვა ბრძნული,
მთლად ქვეყანა განვაცვიფროთ
ძმობითა და სიყვარულით.
ერთურთს ხელი შევაშველოთ,
რომ არ ვიგრძნოთ თავი მარტო...
თუკი  ძმამ ძმა არ დაინდო,
ვის სჭირდება შენი „ნატო“?!
.....
რადგან გვხურავს ზეცა ერთი
სატკივარიც გვაქვს საერთო -
სამშობლოსგან მოსაკვეთად
ნურვის გაიმეტებ, ღმერთო!

## მაინც როდემდე?..

ვერ ამოვშანთე გულიდან სევდა -
ვით გულჩამწყვეტი წელთა წრიალი,
მამულს ოდითგან ფეხდაფეხ სდევდა,
ჟამი უჟამო - ბედი ტიალი.
გაუდაბურდა ყოფნა-არყოფნა
სამშობლოს, - ბეჭში დაჭრილ არწივის,
მოსალოდნელი ცეცხლი და გრგვინვა
ასე მგონია, ყურში ჩამწივის.
რეკენ ზარები მოთქმა-გოდების, -
ქვეყანა ასე ვინ დაამშია?!
ბედნიერების წყვეტდე ვარსკვლავებს
ძნელი ყოფილა თვით სიზმარშიაც!
გაუტანლობით თუ უმეცრებით
ყელზე თანდათან გვიჭერს მარწუხი,
მაინც როდემდე? მიწა-წყალს ჩვენსას
ეფინოს უნდა, ღმერთო, ცა მწუხრის?!

## ფიქრის გზა

შევუყვები ღელის ნაპირს
ყურს მივუგდებ წყალთა ჩხრიალს,
ჩავეხვევი ჩემს მამულეთს,
მთვარიანს და მზეხალიანს.
მოყვრის თვალით გადავხედავ...
მინდვრებს, ტყეებს, ლამაზ სერებს,
მათი ნახვით ვერასოდეს
კაცი გულს ვერ მოიჯერებს!

გზაწვრილს ფრთხილად გავუყვები
ზოგან მაყვალბარდებიანს,
მკერდს გავუხსნი უშურველად
ნატრულ გზებს - აღმართებიანს.
ნაფეხურებს ბავშვობისას
გადავაწყდე სადმე იქნებ, -
გზებს მივყვები დედულისკენ
ბავშვივით, რომ სულ ხელს მიქნევს.

## შეხმიანება კავკასიონს

ძუძუთი ზრდიდა საკუთარ შვილებს:
კავკასიონი ერებს, - ფრთაშლილებს.
თითქოს წაგვართვა დროებამ ბილწმა
ჩვენ: სამაჩაბლო, გაგრა და რიწა...
გაუძლო ჭირთა ათასგვარ ხლართებს,
უბედურებას თავს მუდამ ართმევს.
თავის გასაჭირს მხრებით მიათრევს,
„უფალმა იცის ყველა სიმართლე“!
ვინ უპატრონებს ლიახვს და ენგურს,
სხვას ვის იპოვნის ჩვენსავით ერთგულს.
ჟამი ვინ იცის, ვის რას უპირებს,
ალბათ, უმზადებს ლახვარს უბირებს.
ღმერთი მოგვისმენს უზომოდ მწუხართ,
კვლავ მზიან დღეებს მოგვივლენს უხვად.

## მაინც გნატრულობ

სამშობლოვ გულჩაწყვეტილო -
ცხოვრების ალიანცობით,
ჩირქსა გცხებს შვილი „ურჯულო“
თვისსავე მოდგმის არმცნობი.
სამება იდუმალებით
მთელ თბილისქალაქს დასცქერის...
გაოგნებულა ბრძენკაცი
ისჯება სიმართლის მთქმელი!
ჭკვიანს (ქვეყანა შეშლილა,)
ვერ ნახავ პირმომცინარეს,
მტკვარიც კი გულამღვრეული
ფიქრში ჩანთქმული მდინარებს.
ჩემო ბედკრულო ქვეყანავ,
შენთან ვარ, მაინც გნატრულობ...
კვლავ გაბრწყინდები ღვთისმშობლის
მიწავ და სულო ქართულო!

## კვლავაც გაბრწყინდება

გზა ვიმოკლე, გადვიარე
სვირი, ობჩა და ბაღდათი,
ფრენა-ფრენით გავასრულე
აღმართი თუ თავდაღმართი.
ამშვენებენ ფერდობები
ხელით ნაგებ ოდა-სახლებს,
ვგრძნობ, გლეხკაცის ჭირთაძლევით
გამარჯვებებს და სიახლეს.

კუთხეს წარსულნათელიანს -
კვლავ ღვთის მადლი დასტრიალებს,
ხალხის გონი, გარჯა, რწმენა -
ქმნის მომავლის მატიანეს!
ვლოცავ მარჯვენს გლეხკაცისას
მხარეს ზვრებ-ბაღ-ველებიანს,
მუხლჩაუხრელ საქართველოს
ბევრჯერ, ბევრჯერ შველებია!
არ დაინდობს ღმერთი მტარვალს, -
მალე მათთვის გაწვიმდება...
საქართველო კვლავაც, კვლავაც,
კვლავაც მზისებრ გაბრწყინდება!

**ზამთრის პირი**

დაენარცხა მიწაზე -
გულყვითელა ფოთოლი,
ყინვა  გადაეკვრება
გზებს და ხევებს მოთოვლილს.
გამინელებს ნეტავ ვინ?
გულს მოწოლილ კაეშანს,
ფიქრი ტვინის მჭყლეტავი
ზღვის მორევში ჩაეშვა.
ვიგრძენ კაცის და ფოთლის
ბედთა თანამსგავსება,
ქუჩებს ვედუდუნები -
მე, უმწეო არსება.

## წარსულ დროში წამიერი დაბრუნება

გაუღეღიათ მკერდები კლდეებს,
ზედ ზღვის ტალღები ახლიან თავებს,
წამით თვალები მთისკენ გამირბის,
ძილბურანიან ფიქრებში მრთავენ.
ზღვის ნაპირს გული სხვაგვარად მიძგერს,
ჩავლილი დღენი მეძახის კვლავაც,
„ასე ტკბილია“ ადგილის დედა,
მის საამბოროდ უდავოდ წავალ.
ტყე-ბილიკებზე ავლილ-ჩავლილი
ვიცი, ვახსოვარ კეკლუცი ქალი,
ტკბილმოსაგონრად დღესაც შთენია
ჩემი უმწიკვლო ბავშვობის კვალი.
მჯერა, არ ვყავარ გულს მოწყვეტილი,
ისიც ჩემსავით ოცნებით ხარობს,
მე თქვენს გარეშე რა მომასვენებს
სიცოცხლევ ჩემო: ზღვავ, მთა და ბარო!

## ხალხნო, რით გაგახაროთ!

ცა მოგვენატრა ცისფერი
და დედამიწა მშვიდი,
ამდენმა ქარტეხილებმა
დაგვღალა სოფლის მკვიდრნი.
გონება თითქოს დაგვეხშო,
თვალებში გვიდგას ბინდი,
დარდით, ჯახირით, წვალებით

სიცოცხლის დღენი მიდის.
ქვეყანას არ ეშველება
ფრენა-ყიალით, ბოდვით,
ქვეყნის სიმდიდრე ხალხია, -
ასე გვსმენია ოდით!
ქვეყნის და ხალხის ერთობას
ვინ გაუჩინა ბზარი?
ერთურთის სიყვარულისკენ
გვიხმობს სამრეკლოს ზარი!
ზეცა სარკეა მიწისა,
მიწა არსობის წყარო!
რა გითხრა, ჩემო ტანჯულო
„ხალხნო, რით გაგახაროთ?!“

**შიშით იძინებს**

მოწყენილს გხედავ, ზღვაო, მთა-ველო,
რა დღენი გიდგათ, რა უსაშველო!
ცამდე აზიდულ მდუმარ მთათ თმენას
ვერ განგვიმარტავს ბრძენკაცთა ენაც!
ზეცით ჩამოდის გრუხუნი-გრგვინვა,
გული ვერ უძლებს ამ დღეებს მძვინვარს.
შიშით იძინებს ლორთქო ბალახი,
სულს ჩაჭდობია ექო დალახვრის.
მძიმე უღელში იმსხვრევა ჯაჭვი -
დღემდე მოსული ვაება-ტანჯვით!

**08.08.2008**

## ღმერთი გფარავდეს

ჯერ საკადრისი ვერვის მივაგეთ,
დღეებს მოველით იმედებიანს...
სულს შენი ბედი მიფორიაქებს,
შენი მოწყენა გადამდებია.
ვერ ამომითქვამს ის, გულს რაც მიკლავს,
სულით ამაყო, უბერებელო...
ნეტავ შემეძლოს გულში ჩაგიკრა,
თოთო ბავშვივით მუდამ გეფერო!
გული ცრემლისგან ვეღარ დავწმინდე
და სიტყვა როგორ გამითამამდეს?..
შიში შეყრია დღეებს ხვალინდელს,
მამულო ჩემო, ღმერთი გფარავდეს!

## ზეცის თვალები

ცა ჩემი დიდი მესაიდუმლე,
რომ არ გამწირავს დღესავით ვიცი,
დაბადებიდან მისად მიგულებს,
ცოდვილ მიწაზე ვდნები და ვიწვი...
დაჰყურებს  ჩემი ადგილის დედას,
მზით მისხივოსნებს მშობლიურ სერებს,
მხოლოდ მან უწყის გადავლილ დღეთა -
ცხოვრება მრუმე როგორ შევფერე.
ვეღარ ველევი შორით წვა-ტრფობას,
სამყაროს ვხედავ მისი თვალებით
და მე ზენაარს შევთხოვ შენდობას,
მიმზეოს წუთი ფერისცვალების!

## მაინც ჩვენია

არეს ნისლიანს, კარვებს ისლიანს -
ელივლივება ზღვა და ნაპირი,
რაც ჩვენი იყო, ახლა სხვისია,
გულამოსკვნილი უკან გავტირით.
უღვთოდ წაგგვლიჯეს მთები და ხალხი,
უხსოვარ დროის ტყვედქმნილა ლერწი,
ამგვარ ფიქრებით ტანჯულ-გადაღლილს -
ბნელი წარსული მიხმობს და მეწვის...
ვგავარ უბადრუკს - გაძარცვულს ჟამით,
გარევმოსილვარ ამაოებით,
მჯერა ჩქერებში იხუვლებს წამი
სისხლ-ხორცის ერთად მოახლოების.
.....
შეხლა-შემოხლა დროებს სჩვევია,
შეუვალია უზენაესი -
და მომავალი მაინც ჩვენია
ურყევი ნებით, - რჯულ-უმრწამესის.

## საბედნიეროდ

ბურუს-ნისლიან წუთისოფელში
ბორგავს და გვანთებს  გული - საკირე,
ვის დაუღვრია სისხლი ჩვენდენი,
ან ჭირთა თმენით ვინ გაგვაკვირვებს.
ვგრძნობ გარდასულთა სიცხად-ზმანებით -
სულებთა შორის ხიდი იდება,
ერთიან ძლევის ცეცხლად ანთებით
ივერიის მზე ამობრწყინდება!
.....
საბედნიეროდ გვარგუნა ღმერთმა -
ცა სამოთხედ და მიწა ედემად,
მოიხმობს გონსაც ქართველი ერი, -
დღე ხვალინდელი მეიმედება!

## წარსულის ექო

ო, მუხის ხეო, ჩემო ძმობილო
ფართოდ გაშლილი კოჟრილ ტოტებით,
დიდიხანია სიზმრად გხმობილობ,
ხსოვნის ქარცეცხლით გულზე მონთებით!
მომაგონდები მძლავრი ფესვებით,
ამაელვარებს დღენი ბავშვობის,
და მონატრების ჟინს ვერ ვეხსნები,
ბედის ტრიალით - რაც რომ დაგშორდი.
ვიცი, მომძახი მკლავგამოწვდილი...
ვნანობ, რომ მოსვლა დავაგვიანე,

მედიდური და ტანდაკორძილი -
მძლე, ძველ დიდების მემატიანევ!
ჟამი უჟამო მაინც მცინარებს
(ვერ გაიხარებს ქვეყნად ავსული),
ვინ შეაჩერებს დროის მდინარეს,
მარადიულობს ექო წარსულის.

## კვლავ თუ გვიღიმის

დავბადებულვარ შემოდგომისას,
ჯვართამაღლების ღამე ყოფილა,
ახლაც მგონია, ვარ იმ მთებისა -
პაწია გოგო თვალებფოფინა.
გამოდიოდა ტირილი ჩემი
ალბათ, ბაბუას ძველი ოდიდან,
ემატებოდა აკვანს აკვანი
მამა-პაპური ჯილაგ-მოდგმიდან.
წამოვიზარდე... პაპის ერდოდან
დილის მზის სხივი მომდევს და მახლავს,
იმდროინდელი მოგონებებით -
გულს ბაგა-ბუგი გაუდის ახლაც.
.....
სიყრმისეულო წლებო უტკბესო!
თავზე მზედ გადგათ - ოქროს გვირგვინი,
ღვთის წყალობა და, დიდი მადლია,
ბედის ვარსკვლავი კვლავ თუ, გვიღიმის.

## იმედიანი ნატვრა

აღარა გვყვანან მშობლები, -
ამქვეყნად მთოხნელ-მბარავნი,
მეწყერჩახერგილ ფერდობზე
კაცთაგან არ ჩანს არავინ.
ნაჯაფარ-ნასახლარებზე
იხარა ეკალ-ბარდებმა,
დიდიხანია უჩვენოდ
მთაში თენდება-ღამდება.
თავს დასტრიალებს მზე-მთვარე -
ვაჟკაცთა აღმზრდელ მთის სერებს,
სული წარსულში გამირბის,
ბავშვობის გზებზე ვისვენებ.
დავდივარ ლოცვად ქცეული,
სხვა განცდითა და სხვა ღელვით,
ექო მომძახის მთებიდან
ფიქრში ათასჯერ ნამღერი.
გვიღიმის კორტოხებიდან
ყვავილნი: შქერის, იელის, -
იქნებ, ინებოს გამჩენმა
„მთას დაუბრუნდეს მთიელი“.

## გულისწყვეტა

მინდა თავზე შემოვევლო
ჩემს ლამაზ მთებს ბილიკიანს...
დღე და ღამე მათზე ფიქრით,
გულზე ცეცხლი მიკიდია.
მათ უბეში გავიზარდე,

აყვავებულ მიდამოში,
სითბოს მშობლიური ხალხის -
ჩემს ხსოვნიდან ვინ ამოშლის?!
ვგრძნობ, ჩემსავით ბევრი ნატრობს,
ფიქრით სოფლად დაივანოს,
სად ხარ? ჩემო ნასახლარო,
ჩემი პაპის აივანო!

**იქნებ...**

როგორც ღვთისგან მოვლენილს და
სიბრძნით სავსეს ისე გიმზერ,
ცხრა მთას იქით საძებარი -
აღარა გვაქვს იქნებ ის მზე!
ყოვლის მფარველ-შევრმდომელო,
ანგელოზი გულში გიზის...
კაცი მადლის გამცემელი
მიმღწეველი არის მიზნის.

**გრძელდება**

ხან სიო მეალერსება,
ხან თვალებს მკორტნის ქარი,
ქალაქად ფეხი მოვიდგი,
ჩემზე  მთა დამრჩა მწყრალი.
აქეთ შვილები მეძახის,
იქ იაგუნდი, ლალი...
უმწეობითა ვილევი,
 მე, ორწყალსშუა მდგარი,
გრძელდება ბედთან ჭიდილში -
ჯილაგ- ჯიში და გვარი!

## მუდამ მზე ენთოს

წამომეწია ველური ქარი,
ქარი ვინ ნახა მშვიდი და წყნარი?
მე ბილიკ-ბილიკ ვიდოდი ტყეში,
ექო მესმოდა ხევხუვთა ხვნეშის.
თვალებს ხუჭავდნენ თოთო კვირტები,
გასუდრულები როგორც გვრიტები.
დაღვრემილიყო მიწა და ზეცა,
სული ეძებდა მისასვლელს მზესთან.
გამაგრდი ჭირს და ვარამს ჩვეულო
მამულო ჩემო, ვერ დაძლეულო!
უნდა ერთხელაც გათენდეს შენთვის
მარადისობას რამეთუ ერთვი.
.....
მუდამ მზე ენთოს ბარსა და მთაში
გხედავდეს თვალი ლაღსა და ფრთაშლილს.

## სიცოცხლის გაზაფხული

შემძრა სიტურფემ მუხათა
ახლადშემოსილ სიმწვანით...
დავდივარ გაბრწყინებული
დღესაც მხილველი იმ წამის.
გაჰქონდა მინდვრებს ხასხასი,
სახე შვენოდა არესა...
გავოგნდი,- გონი მომტაცა

მიწასთან ზეცის ალერსმა.
მზე ელვარებდა აპრილის,
სხივს საამბოროდ იწვდიდა,
განახლებული სიცოცხლე
ამომსკდარიყო მიწიდან!

## ვკოცნი შვილიშვილებს:
## მარინეს და ირინეს

უჩუმრად ვკოცნი, თქვენს ბარათებს -
ჩემდამი მოძღვნილს, -
სიცოცხლის წყარო თქვენა ხართ ჩემი...
და დედაბოძი!

## სიცოცხლის ფასი

არ მინდა თქვენი ჩიხტი-კოპი
და არც ფარჩები...
ვერ შევიფერებ, ამდაგვარებს,
არ ვარ ნაჩვევი.
მე მირჩევნია ქალაქ - ქუჩებს
გახვითქულთ სიცხით,
დავრბოდე მთაში ფეხშიშველი
ვთბებოდე ფიჩხით.
სულ სხვაა ჩვენი სოფლის შუკა
თოთო ბალახი...

იბადებოდნენ და კვდებოდნენ
სადაც, მძლე  ხალხი.
ვერგაქცეული მე ქალაქის -
ცხოვრების ფიცხის,
დიდიხანია, ერთდაგვარად
მე სასჯელს ვიხდი.
ო, არა, არა, მე არ მინდა
ოქროს სასახლე,
სეფე-ქალებმა, რომც მიმღერონ
უცხო ჰანგები...
სიცოცხლეს ფასი წაერთმევა,
უნდა დავსაქმდე,
ვიდრე, მიგდებულ სახნისივით
დავიჟანგები.

## მწარე სინამდვილე

ურთულესია, ჭირთა დაძლევა
ჟამთა სიავის ფლიდის და ბნელის,
სირცხვილეული გადგას გვირგვინი -
თუკი ხალხისთვის ხარ ავისმქნელი.
ძალაუფლების ხელთ გეპყრა კვერთხი, -
მითვისებული უღირსი ჩინის,
ახლაც, მიგელავს შენი „მერანი“...
დაუოკებელ განცხრომის ჟინით!
რამდენი ცოდვა, რამდენი ბრალი -
განუკითხავი კისერზე გაწევს,

დრო-ჟამი ყოვლის არის მსახვრელი,
ცრემლი დაგიჭკნობს „ვარდისფერ“ ღაწვებს.
ჩახერგილია ჩვენს შორის გზები,
„ჩარეცხილები“ კვლავ ვდგავართ ჩიხში,
მხოლოდ უმეცარს აშინებს ასე,
ნიჭიერება გენის და ჯიშის.
ამოგწურვია ვადა ჭენების
და ვიდრე ახალ ვნებებს დაძრავდე
მოუხმე გულის გონიერებას
ამგვარად გირჩევთ მისვლას ტაძრამდე.

**გზა წარსულისკენ**

წარსულის ფესვზე ამონაყარი
ნერგი ცისაკენ გატყორცნილ მზერით,
ქარით ნარქენი და ნაჯაფარი
ვუახლოვდები სიცოცხლის ზენიტს!
სამკვიდრო ჩვენი ქვეყნად ერთია,
არც მიძებნია გზები სამოთხის,
მამულზე ფიქრი თუმც ზღვას შერთვია
ჯიშს ( სურდეს მაინც, ვერვინ ამოთხრის!).
ჩანისლულ მთა-ველს ცხელი მზე კორტნის,
შვენის ხევხუვებს ფოთოლთ შეფენა,
სულში ვაჟღერებ ასობით მოტივს,
რომ ვპოვო შეშლილ სულის მე ლხენა.
მშობელი მიწის მესმის მე - ენა,
ვლაღობ იმედით მომავლის დღეთა,
ტკბილ-მწარე სოფლის შევსვამ ფიალას
და ვალმოხდილი წარვსდგები ღმერთთან.

## შავი ვარდი

შემოდგომაზე ავდრის ტირილი -
ცივია, როგორც სატრფოს სიშორე,
იმ ქარიშხალში მებრძოლი ვარდის
სევდა გულიდან ვერ მოვიშორე.
საშველად თითქოს ხელებს მიწვდიდა,
თვალს მიაპყრობდა ლამაზ მთა-გორებს,
ის გაცრეცილი, უმწეო ლტოლვა
შემოღამების მიმწუხრს მაგონებს.
ადრეულ ზამთარს თვალს რომ შევავლებ
ცას მეწამული ედება ფერი,
ყოველთვის მახსოვს ის შავი ვარდი -
რომლის ნუგეში მე ვერ შევძელი!

## სამდურავი

ესე რად ხარობ, საწუთროვ,
ამ გულზე ცეცხლის დანთებით,
წელმოწყვეტილი უღელში
შებმული, ძლივს ვიმართები.
შველას მთხოვს გული უმწეო,
მრავალგზის ნაიარევი,
მიკვნესის  სული ეული,
ნაგლეჯ-ნაწეწი ქარებით...
რად მივლენ ამდენ ფათერაკს,

შენით სიცოცხლე არ ჰყვავის...
ღმერთია ყოვლის ამქვეყნად
დამნახველი და ამრწყავი.
შემიმსუბუქე უღელი,
რას გარგებს ტანჯვა შენ ჩემი...
კარგადაც უწყი, ამ სოფელს
მარადჟამს რომ არ შევრჩები.
ცოტაც, ო, ცოტაც, მაცალე,
ცოტაც - ამოვთქვა სათქმელი...
ღმერთო, მომასწარ, მანახე
წელგამართული ქართველი!

**მასწავლებელს**
**საშა ლილუაშვილს**

ცრემლის ორი კურცხალით
და ხანდაზმულ სახითა,
წუთმა მოგონებისამ
გული სევდით დაფლითა.
წრფელი გულით გვმოძღვრავდი
მარად დაუვიწყარო,
სწავლა და უკვდავება
ყველამ უნდა ვიწამოთ!
კეთილ გონით, სინდისით
გამოგვზარდე ასობით,
გმადლობთ, დაუვიწყებლად -
როს ბოლომდე გახსოვდი.
ჩვენს მშვენიერ მხარეში
წევხარ მიწადაყრილი,
მზე-სხივებად მეხვევა -

შენი სულის აპრილი.
და, ის ბოლო შეხვედრა
თავს ხშირ-ხშირად მახსენებს,
ხსოვნა - გულის ძვირფასი
არასდროს მომასვენებს!

## სამარადისო დიდება

მღერიან „ურმულს“- გახელდა სცენა,
დატკბა დარბაზი - ვიქეცი სმენად.
წავედი ფიქრში ელვარე გზნებით,
დამიდგნენ თვალწინ მამულის გზები...
წამოიშალნენ ძმები-ბიძები,
მერე შეუყვნენ აღმართს ურმებით.
ეზიდებიან ხე-ტყეს ერთავად,
მეხრედ მიხმობენ იქეთ მეც თავად.
მივლულე თვალი, ვუხმე გონებას, -
ტკბილ ხმებს შეერწყა ეს მოგონებაც.
ჰანგების ჟღერა აღწევს ზეცამდე,
გამიყოლიეს თითქოს მეც თანვე.
.....
ღმერთო, ქართველი აცოცხლე დიდხანს,
სამარადისო დიდება მის ხმას!

## ეს რა ჟამი დაგვიდგა

ქანცი გამოგველია -
ამდენ დავიდარაბით,
სამშობლოს გულს უხრავდა
მონღოლი თუ არაბი.
მეფობდნენ და მეფობენ
დრონი დაუნდობელნი,
კვლავაც გვიცქერს მზაკვრულად
მტარვალი - დამპყრობელი.
მამულს „არა ქართველთა
ხროვა“ შთანთქმას უპირებს,
გზები გადავუხერგოთ
უზნეოთ და უბირებს.
ძმათა შორის აღრევით
ცად მოჯარდნენ ღრუბლები,
სულში,ქართველთა სულში
წვიმს, წვიმს გადაუღებლივ.
წინაპართა ნაღვაწის
გვმართებს დაცვა - დიდება...
მუდამ ნაადრევია
ჩვენი გულდამშვიდება!
ეს რა ჟამი დაგვიდგა, -
იტაცებენ ვის მიწებს?!
დრო წალეკავს (მტარვალებს),
ღმერთი არ დაგვივიწყებს!..

## მიწისძვრები...

ეს მიწისძვრები კაცობრიობას
საშიშროებას უქმნის,.. თან რამდენს,
ზოგჯერ უფლისგან მეტად ბევრს ვითხოვთ,
როცა ცოდვებში ვდგავართ ყელამდე!
ბევრმა არ იცის, სიცოცხლეს ჩვენსას
მხოლოდ უფალი უდგას თავდებად...
ბოროტს კეთილმან თუკი ვერ სძლია,
ქვეყანა წამში გავერანდება!
და თუ, სიკვდილი ზოგჯერ თამამობს,
სიცოცხლე მეტად მძლავრობს, ხმიანობს...
მხოლოდ ღვთის შიში და სიყვარულის
გზა, გადაგვარჩენს, ადამიანო!

## სოფლის სურათები

ჩამოიარა
ბოხჩითა ჩარჩმა,
ჩამოატარა
ჩითი და ფარჩა,
ჩალას ჩაუყრის
ჩალხია ჩოჩორს,
ჩამოივარცხნის
ჩალისფერ ქოჩორს.
ბაღჩას ჩასულან
მაჩვი და არჩვი,
ჩუმად ირჩევენ

ჩასაცუცქნ არჩივს.
ალუჩის ჩრდილში
ბოჩოლა არ ჩანს,
დედაჩემს ჩირი
ხონჩაზე დარჩა.
ჩვენი: ბუჩქნარი,
ჩირგვი და ჩერო
გადაგვირჩინე  გამჩენო ჩვენო!

## ჭადარი გზაზე

ნეტავ  შრიალა ჭადარი
მქნა, მოვკლავ დღეებს უჟმურს,
მეც შევმატებდი სიცოცხლეს
ამ ჩემს პატარა მამულს.
გზადაგზა წყაროს რაკრაკი, -
თითქოს ბავშვივით მართობს,
უკეთესი რა ვინატრო, -
გული მიწვდება მნათობთ!
ვუცქერი,თვალს ვერ ვაშორებ
ჭადარს, მხარ-მკლავებ გაშლილს...
მისმა ამაყად დგომამა
ქალი შემშალოს ლამის!

## გული ვის მოუოხია

გლეხის  სასახლე ქოხია,
მინდორი მწვანე ნოხია.
დიდი ქონება მტერსა შობს,
შენი ნაშრომი ყველას სჯობს.
ქართველი საქართველოში
უპირველესად კოლხია,
ბევრიც ეცადონ ვერასდროს
 მიწიდან ვერ ამოგვთხრიან!
სიმდიდრე, შური მტერსა შობს,
აგირ-დაგირევს გონებას,
შენი ნაშრომი გერჩივნოს
ქვეყნიერების ქონებას!
საშობლოს მიწის ფერებით
გული ვის მოუოხია...
ქვეყნის ძუძუა - სოფელი,
გლეხის სასახლე - ქოხია.

## მოგიგონებენ

იარე ღიმით და არა ოხვრით,
ვინ რას მოიმკის  შურით და ბოღმით!
კვალი დატოვე  - კვალი ნათელი,
სულს გინათებდეს  - ხსოვნის სანთელი!
ცხოვრების გზაზე  გიჩნდეს სიცხოვლე,
მოგიგონებენ:  როგორც იცხოვრე!..

## ნატვრა

დედულეთში, ვითა ბავშვი
დავალ შიშველ ფეხებით,
მშობელ დედის სიახლოვით
ვგრძნობ, როს მიწას ვეხები.
ნეტავ ცრემლი სიხარულის
სულ ბავშვივით მედინოს,
ღმერთთან ერთი სათხოვარი
იქნებ გამაბედინოს:
გამიმრავლე ჩემი ჯიში,
სიბერის წლებს მოგვყარე,
საკადრისად. რომ ვხვდებოდეთ
მტერსაცა და მოყვარეს!

## იმედი

ქუჩებში სიკვდილ-სიცოცხლე დადის,
მზე ხატავს ზეცის აის-დაისებს,
ვითა წამს წამი -
დღესა ცვლის ღამე
და ვარსკვლავებით უბეს აივსებს.
სულ ამაოა ბედზე წუწუნი,
ტკივილის გარდა -
რა მოაქვს წუხვას,
ხვალეს მზისფერი თვალით უცქირე,
რადგან სიკვდილსაც სიცოცხლე უყვარს!!!

## ბუნების საოცრება

მოჯარდნენ ცისა თავანზე -
ღრუბელთა შავი გუნდები,
მთის სოფლად მიმიჩქარია,
უკანაც ვეღარ ვბრუნდები.
ო, საოცრებავ ბუნების, -
მთებს შემოასკდნენ ქარები...
(მოხუც დედილოს ვიხილავ,
ჩავეხვევ - გავეხარები).
მზემ ოქროს ფრთები გაშალა, -
გადაწკრიალდა ცა ისევ,
მესმის ჭიკჭიკი ფრინველთა,
მთაც ლამაზ ფიქრებს დაისევს.
.....
ბევრი სიკეთის მქნელია
ბუნება, ცოტა - ავისა:
მთაში შობილი, გაზრდილი,
მომსწრე ვარ ბევრჯერ ამისა!

## იმერეთის  მოჩვენება ცხვარიჭამიაში

ღვთის წყალობით პაწა ოდა
მიდგას ცხვარიჭამიაში,
ვეშურები იქეთ ყოფნას, -
დამიმშვიდებს ნერვებს აშლილს.
ახლა თბილისს ბუღი ასდის,
აქ ტყე-ჭალა, მუხნარია

სადაც,  მართლა  ყველაფერი -
გულს ბავშვივით უხარია.
განუზომლად დიდი არის
მადლი უფლის წყალობისა...
აქ ცოცხლდება იმერეთი
წლები ყმაწვილქალობისა.
აგვისტოა, სიოცა სდუმს,
მცხუნვარებას მზე არ იშლის...
თითქოს თავს ვგრძნობ დედულეთში -
და არაფრის არ მაქვს შიში!
ამ  ხსოვნაში სისხამ დილით
ტკბილ ბავშვობას ვეძებ ტყეში,
ვერ ვეფერო  მის მთა-გორებს -
გაფიქრებაც ალბათ შემშლის.
აგერ - წყარო მორაკრაკებს,
იქით - მწვანე ფერდობია...
ზეცით  პირდაბანილ მინდვრებს
ჯერ ნამიც არ შეშრობია.
ვინ არ არის მადლიერი
ღმერთის - ყოვლის შემოქმედის,
თითქოს უფლის ვისმენ ჩურჩულს
მე ვარ მისი რესპოდენტი..

**ნისლო ფარფატა**

სად გაგონილა სიშავე შენი,
ნისლო ფარფატა! სითეთრე გშვენის...
სულსა მტკენს დარდი - წარსულის დამღა,
მსურს შენებრ ვფრენდე აღმა, ხან დაღმა.
ხევში სულ სხვაგვარ - მშვენებას იძენ
(შენ ის თქვი: ღმერთის - სად არ ჩანს სიბრძნე!)
ზოგჯერ შენსავით მიტაცებს ეს ცა...
სურვილი ფრენის ზმანებად მექცა!
ასე ფაფუკი, სპეტაკი, სუფთა,
თვალთ საამებლად სულ ფრენდე უნდა!
მთებს აფენიხარ თავზე ვით ფატა,
ჟამი მტვერივით ყველას გაგვფანტავს!
.....
თვალს ვერ გაცილებ, ნისლო ფარფატა,
მე რომ შემეძლოს გულს თან გაგატან!

## მთა საოცრება

როცა მეწვევა დარდი ტიალი,
მე მაშინ მიყვარს მთად ხეტიალი.
მივყვები მაღლა ბილიკებს ისევ,
მე სულის შვებას კვლავ აქ ვეღირსე!
ვხედავ, სინაზით ხე-ბუჩქთა ტკბობას,
ვგრძნობ, ამ ბუნების შეხებას, თრობას.
საოცრებაა მთა...ცის ნათება
(გულო, რა მოგდის, რა გემართება!),
მხოლოდ აქ ვწვდები სულის სილაღეს,

ყოვლის შემქმნელის  -  სიბრძნეს, სიმაღლეს!
მთაა - ბუნების  ხიბლი დიადი,
გაბრწყინებული  მზით განთიადის.
კაცი მთაში გრძნობს  თავისუფლებას,
სიკვდილი აქ ვერ  დაგემუქრება!

**თუ უფლის გზას მივყვებით**

სიკეთისთვის ვშობილვართ, -
ღმერთმა ასე ინება,
გვმართებს მოყვასისათვის
გარჯა-გულმოდგინება!
ვაშენოთ სიყვარულის
კოშკები და ხიდები,
გვახსოვდეს, რომ ერთმანეთს
სუყოველთვის ვჭირდებით!
ჩაგრულისკენ მივაპყროთ
ჩვენი გული და გონი,
უწინარეს ყოვლისა,
ვიყოთ სხვათა პატრონი!..
დავდგეთ უნდა მხარდამხარ
ქვეყნის გადასარჩენად,
ძმობა-სიყვარულისთვის
გაგვაჩინა გამჩენმა!
თუ უფლის გზას მივყვებით
არ დავრჩებით ბრიყვებად, -
მაშინ სასუფეველსაც..
დავიმკვიდრებთ იმ ქვეყნად!

## მარტის ზეიმი

ღრუბელთ ლანქერებს შევყურებ ცაზე,
მარტი თვალს ახელს მიმქრალ  წამიდან,
მოგონებები ტკივილით სავსე -
ცრემლად მიწვეთავს თვალ- წამწამიდან.
ზეცა კრიალებს, მეც მისებრ ვსუნთქავ,
ამიციმციმდა მზე მთის ერდოდან,
რა ერქმეოდა პოეტს, რომ გულქვა
დღეები წილად არ შეხვედროდა?
ოცნება გულის ბალიშზე მიწვა,
რა მშვენიერი (ღმერთო!) დარი დგას,
ზეიმობს მარტი, იღვიძებს მიწა,
მალე სიმწვანე ფეხსაც აიდგამს.

## დრო-ჟამთა თანამგზავრი

ხსოვნის მინდორი მზით შეიმოსა,
მეწვია ხილვა, როგორც მშვენება:
ცად ხელაპყრობილს ვხედავ ფიროსმანს,
სინამდვილეა, თუ მოჩვენება?..
შორით მზირალი თვალები მისი -
ნეტა უფალს რას ევედრებიან?..
მხატვრის დიდება და უკვდავება -
თვალმომნუსხველი შედევრებია!
...ეჰ!  მიწიერი მისი ცხოვრება
ჰგავდა ელვისებრ გასხივოსნებას:

მუზა ცისფერი - ქალი მზის დარი -
აუხდენელი დარჩა ოცნება.
ის ამ  ქვეყანას არ ეკუთვნოდა,
როს ფუნჯით ხელში იდგა მოლბერტთან...
ნიშნად პატივის - მუხლის მოდრეკვა
გვმართებს წინაშე წინამორბედთა.
თანამგზავრია იგი დრო-ჟამთა,
მიწაზე, ცაშიც თვალმარგალიტობს:
ერს და ქვეყანას უბრწყინვალესი
შუქი მოჰფინა სამარადისო!

## სიცოცხლე მოძრაობაა

ვარსკვლავებს ვგავდი კრთომაში,
სულ სხვა ვიყავი, ჰო, მაშინ!..
მერე ცხოვრების უღელში
შევები, მივყევ სხვა გეშით.
თავად ვიწვევდი დუელში
დროს, ღვთის მადლით და ნუგეშით.
ძალა თუმცაღა მელევა,
გული კვლავ შრომად მეწევა.
---
სიცოცხლე მოძრაობაა, -
ვამზევებ ფიქრებს ნისლიანს...
უშრომელ  - უსიყვარულოდ
ცხოვრება რის მაქნისია.

## გთხოვთ ქალ-ვაჟნო

ყავახანის ბნელ კუთხეში
ძონძებით ზის მათხოვარი,
ცხოვრებისგან გარიყული,
სულში ნაწვიმ-ნათოვარი.
ხელთ უჭირავს რამ საკრავი,
ხან აკვნესებს, ხანაც მღერის,
ერთხელაც კი, მზისა დარად
ვეღარ მოიღერა ყელი.
სიმწრის ოფლი უფერმკრთალებს
გაყვითლებულ დამჭკნარ ღაწვებს,
მთელ სახეზე აფენია,
გულს რამხელა დარდი აწევს.
ასე ხელებგაშვერილმა
გზას წამებულს სანამ მიჰყვეს?
და ჰგონია, არვინ უსმენს
სულის შემძვრელ იმის სიტყვებს.
...გთხოვთ, ქალ-ვაჟნო, მომისმინეთ:
სიტყვა,განა გაცვეთილი,
საწუთრომ ვით მიპირშავა,
თქვენთვის იყოს გაკვეთილი.
რაც წამერთვა ბრძოლის ჟინი,
დაქანცული ვგდივარ მტვერში,
მქონდა უდიდესი ჩინი,
ახლა მწირი - ვგავარ შეშლილს...

## თბილისიდან ადიგენამდე

გზად მიმაცილებს უზომო გრძნობა
იმ სიყვარულის ტკბილი და-ძმურის...
და მიძლიერებს ამ აღმაფრენას
მშობლიურ  მთების - ტყეთა სალბუნი.
თან მიმაქვს გული მზით ანათრთოლი -
მთელი სამყარო ჩემია თითქოს...
მეშვიდე ცისკენ მივიწევ გზნებით,
მშობელი კუთხე ჩემებრ ვინ მიქოს?
იმედით, ნდობით ვედგეთ მხარდამხარ
ერთმანეთს, - მტერმა ვერრა დაგვაკლოს...
მზისებრ  ბრწყინავდეს დედულ-მამული,
მარადისობდეს დღე საარაკო!
ქვეყნის ტრფობაში გული ჩავნაცროთ,
გვახსოვდეს ლომთა  ჯიშის რომა ვართ:
წინაპართაგან  გადმოსულ  სითბოს
ვაზიარებდეთ  შვილს და მომავალს!

## იფნის ხე

მინდა მარადის დაფარფატებდეს -
ზეცის თავანში თანმდევი ფიქრი,
რომ ვგრძნობდე მარად საამო შრიალს
ფოთლების, ხსოვნად შერჩენილ იფნის.
კლდეზე შემომდგარს და მონანავეს
გულს უგრილებენ წვიმის წვეთები,
ზოგჯერ გახვეულს ქათქათა ნისლში

კვლავ ვეფერები თვალთა შენთებით.
სიცოცხლის ჟინით ის იტანს ყოველს,
სადაც არ ვიყო, მგონია, მიმზერს...
ცხოვრების კევრში გამოტარებულს
დარდებს მოდენილს უქარვებს ცის მზე.
.....
მომელანდება სოფელი ჩემი
და ვხედავ მთვარეს შვილდივით მოხრილს...
ჟამს სიბერისას კვლავ რომ ვიხილო, -
ღმერთო, მომმადლე წლები სიცოცხლის!...

**ჟამი**

თავზე რისხვად დაგვატყდება -
ზოგჯერ წამი უმწვავესი...
ასეთია წუთისოფლის
მოარული გზა და წასი.
დღეს რომ შენად გეჩვენება,
ხვალ პირსავსე შხამით მოდის,
განა ასე მარტო ჩვენთვის,
ასე ხდება, ალბათ ოდით.
უგესლავი ჟამის მიერ -
ნეტავ რჩება აქეთ ვინმე?..
„ გამარიდეთ ამ ქვეყანას“ –
უნებურად გვათქმევინებს.

## გული მზესავით ენთო

როს გულწრფელი ხარ თავთან,
გულს არ სჭირდება გრიმი,
მზედ დაჰფენოდა დარბაზს
ურთიერთტკბობის ღიმი...
აჯადოვებდა მსმენელთ
პოეტი ქალის სიტყვა,
სულებს ჩაწნია ჩვენსას,
რაც იმ საღამოს ითქვა.
იყო ლექსების ფრქვევა,
რის მოწყენა და დაღლა,
დარბაზს უვლიდა ლხენად
ფრთიან მუზათა ტალღა.
ეთერი, გენო, თემურ,
ზოია, თინა, ლიდა...
გამომსვლელების სიტყვა
ერთიმეორეს ცვლიდა.
ზედმეტი არაფერი,
მედიდურობის არც ცდა -
შვენოდა იუბილარს
თავისთავადი განცდა.
შარიშურობდნენ წუთნი,
გულიც მზესავით ენთო,
ასეთი თბილი დღისთვის
მადლობას გწირავ, ღმერთო!

## იმედის მზე

სოფლის წესი თითქოსდა
გავისიგრძესიგანე,
ვუძლებ მე, დადევნებულ
დრო და ჟამის გრიგალებს!
თმენამ დამაცლევინა
ჭირ-ვარამის თასები,
გულში არა მდებია
არვის ცუდი...სავსებით.
სტრიქონს ვანდობ იდუმალ
სათქმელს - ჯერაც გაუმხელს,
წმინდა გზიდან არასდროს -
რომც მომკლან, არ გადუხვევ!
მამულს ვერვინ დაულევს
ვარამსა და სატკივარს,
დრო ყველაფერს გაფანტავს,
ისე როგორც - ქარს მკივარს.
ვინ გაექცა ცხოვრებას,
მის წვიმებს და ქარბუქებს,
იმედის მზე ზეციდან
მარადისად აშუქებს!

## ღვირიშის მთვარე

გზას იგრძელებდა ღვირიშის მთვარე,
წყურვილს იკლავდა ჩუმი ამბორით...
მოჩანდა ვითარც ცის პატარძალი,
გატრუნულიყო ირგვლივ მთა-გორი.
სევდას ბადებდა - ალაგი ლბილი,
მიდამოს მთათა წყება შვენოდა...
თვალებჩამქრალი საყდრის ნანგრევი
ილანდებოდა ცაცხვის ჩეროდან.
მერე მიადგა სოფლის საძვალეს,
რაღაცნაირი კრძალვით და რიდით...
შუქში გახვია მიწა მდუმარე,
იდგა საღამო მკრთალი და მშვიდი.
თვალთ ეცოტავა სოფლად ოდები,
გადახურული ყავრით და ისლით...
სულისწამგლეჯი სევდა მოაწვა,
თითქოსდა გული გაუპეს ისრით.
ხილვამ ხილულის მეუფეს ღამის
თვალი აუწვა... მერე ფშანებით
გზა შეიმოკლა აღმართებისკენ,
უკან რჩებოდა თითქოს თვალები.
ამოივაკა, გადასცდა ხვამლსაც,
ბრძენის სიდინჯით და სიდიადით...
ეფინებოდა მშობლიურ მთა-ბარს
სხივი ნათელი - მძლე განთიადის!

## სევდიანი მოგონება

ყრმობიდან ვეღარ გამოვაღწიე, -
მინდვრებზე დავდევ ისევ გიშერას:
ჩემი გიჟმაჟი წლების პარმაღზე
მივლია ბევრჯერ მე ფეხშიშველა.
ხშირად ბავშვური დღენიც მაკრთობდა
როს ავად მყავდა ხარი ღვინია,
მისი უმწეო ხვნეშით დარდიანს -
ბევრჯერ ცრემლებში ჩამიძინია.
შხაპუნა წვიმით დანასველები, -
ტანს მაშრებოდა სველი პერანგი...
იმ მოგონებებს, მუდამ წარუშლელს,
ვერ მოერევა ჟამიც ვერაგი!
ფიქრში ირწევა ხსოვნის აჩრდილი,
მინდორ-მთას დავალ მწყემსის სამოსით,
წარსულს ჩავყურებ, როგორც იმ ხარის
დაოსილ თვალებს ცრემლით ამოვსილს.
ყრმობის ბილიკებს ადევნებული
ნიავ-ქარივით მთებში ვწანწალებ...
მერე ნაზამთრალ კუდა ხარივით
მზის გულზე ვითბობ სულს განაწამებს!

**გულო, უნდა გაუძლო!**
ჩქარი ხრიგინ-ხრიგინით
მიქრის მეტროს ვაგონი,
ჩვენთან ერთად დროც მიქრის,
დრო, არავის გამგონი!
ამ ხმაურში ბიჭუნა

მოლასლასებს ლანდივით,
დახმარებას თხოულობს,
განუქარვოს დარდი ვინ?!
ხურდას როცა ვაწოდებთ,
გულში ცივი ქარი ქრის...
უკუღმართ ცხოვრებაზე
ყვალას გვმართებს სჯა-ფიქრი!
გადმოსული იმედით
ციდან, სული ნათლდება...
ბავშვთა ტკბილი ოცნება
ნეტავ როდის ახდება?
გულო, უნდა გაუძლო
მძიმე ჟამის გამოცდას...
ღარიბ-ღატაკთ უშველე, -
ვვედრი ყველა სალოცავს!

**სიო**

სიო გზად შემომეფეთა,
თმაზე ხელი გადამისვა...
ყურში ტკბილად ჩამჩურჩულა, -
რაც ვიყავი, ახლაც ის ვარ!
ვგრძნობ, ხანდახან ეს ზაფხული
სიცხით დაგიოსებთ გულსა,
ღმერთმა მშობა, - ვესალბუნო
ყველას, ხვატით გათანგულსა.
სიყვარულით გული მიცემს,
გეფერებით რიდით, კდემით...
ხევ-ხევ, მთა-მთა მოვფრიალებ,
რომ გავიღო მადლი ჩემი.

## ტყის მადლი

მდიდარია ჩვენი ტყე
შემოდგომის ნობათით.
კაცთა გულთ გასახარად
ზრუნავს წლიდან -  წლობამდი.
გაიხედავ, ხელს გიქნევს
თავდახრილი მაყვალი,
ნაყოფს ისე გთავაზობს,
თითქოს შენი აქვს ვალი.
ხეთა კრებულს უხდება
მხარგაშლილი კუნელი,
კაცთა გულის და ღვიძლის
უებრო განმკურნელი.
სასარგებლო ასკილი
თავს გაწონებს ნაყოფით,
ყოველივე მოძღვნილი -
ღვთისგან, არის სამყოფი!
თვალთსაამოდ შრიალებს
ოქროსფერი ძახველი,
მისი მკურნალ-თვისების
ყველა ვართ დამნახველი!
გზისპირებს რომ ამშვენებს
ეს ძირძველი ანწლია,
მისგან არყის სახდელად
ქვევრებს ვავსებთ ასწლიანს.
აქვე პანტა-მაჟალოს
ცვენა არის პირთამდე...
ყველა წამლად გვერგება

ამა სოფლის ბინადრებს.
ტყის მშვენება - სიმდიდრე
წიფელი და წაბლია,
აუვსიათ ნაყოფით
ტყე და ხევი მადლიანთ.
ყველა ვერ ჩამოვთვალე,
თუმცა ბევრიც ვეცადე...
თქვენივ თვალით თუ ნახავთ,
ამაღლდებით ზეცამდე!

**მზეო!**

არ გენანება, აჩუქო -
ხალხს  სითბო, გულში ნადები...
ყველას იმედო, ჩამოდი
ჩემამდე, ნუ გვიანდები!
გაქვს ბრწყინვალება ულევი,
ცისა და მიწის გულმშვენი...
ღამე გაგირბის დამფრთხალი,
ნუ გიკვირს, თუკი მშურს შენი!
უშენოდ რაა სიცოცხლე,
სამყარო ბრმაა უშენოდ!...
„მზეო, ამოდი, ამოდი,“-
რამე ქვეყანას უშველო!

## უმწეობა

თითქოსდა კაცი იზოგავს სათქმელს,
კაცი, რომელიც დადის, სულს ითქვამს...
ბოლოს საწუთრო ბაგედან აცლის
ამოსათქმელად ნაფიქრალ სიტყვას.
წუთისოფელი არვის არ ინდობს,
ვინ  დაგაჯეროს, რისიც არ გჯერა!..
და უსასრულო ფიქრთა სიღრმეში
ჭკუას გიბინდავს უმწეო მზერა.
ვინ აისრულა სრულად, რაც სურდა,
გულს ვინ ახადა ერთობ სათქმელი?
დროს: ამოსუნთვით - უკანასკნელით
მიაქვს ქვესკნელში სევდა-ნაღველი.

## ზოგჯერ

მოიზვირთება რიონი,
მკერდს უხსნის შავი ზღვის უბე...
(მიწას სიმწვანე უხდება,
როგორც სითეთრე ცის ღრუბელს).
ფიქრში ცოცხლდება წარსული, -
ლეგენდებით და მითებით...
ზოგჯერ დარდს მივეყიდები,
ზოგჯერ კი მზეებრ ვინთები.
და მე:  ქალი და პოეტი

ციურ მუზებით ვმაღლდები,
 მსურს ცხრა მთას გადავუფრინო
ჩუმი ღვთიური ჰანგებით!

## სადა ხარ

შენ წახვედი და... იცოდე მაინც
ამ  ჩემმა  გულმა რა დღე მაწია:
ჩემში ჩამარხულ გრძნობის ვულკანმა
სულის დამბუგველ ცეცხლად მაქცია.
...და როს მზის ჩასვლა-გამოთხოვების -
სევდა, გააცლის ნატვრებს არაქათს,
ვარდისფერ სხივში მომეჩვენები,
გული გეძახის,  ნეტავ სადა ხარ.

## რა დაერქმევა

ვინ უნდა მითხრას, საითკენ გავყვე
ჩემი ფიქრების გზაჯვარედინებს...
რა დაერქმევა ჩემს ყოფას მაშინ,
სიცოცხლის წყაროდ თუ არ ვედინე!
ახალგაკვირტულ ვაზის ნერგივით
ამოიზარდნენ ჩემში რითმები...
ლექსში კვალივით გამყავს სტრიქონი
და დილა წვება მასში მზის თმებით.

## სოფლის ხიდთან

ვდგავარ ფიქრებად ხიდის კუთხეში,
გულმა დამისვა კითხვა უხეში.
გული გულია! რას უპასუხებ?
მიაქვს ზამთარი წვიმებს, ქარ-ბუქებს.
მერე მიმქრალ მზემ გამოანათა,
თითქოს სიცოცხლე ახლად დაბადა.
მიცინის ისე, მართლაც სადარდო
არ მქონებოდეს სულაც არასდროს!
ბავშვის თვალებით ვუცქერ გარემოს,
მშობლიურ მთა-ველს რამე არ ევნოს.
ღმერთს ვევედრები ქალი და დედა,
წინ... გაბრწყინებულ სამშობლოს ვხედავ!

## ნისლები

ჩამოეფინა მთის ფერდს ნისლები,
ჩუმად გაუყვნენ მერე მწკრივებად...
ჩვენსავით მათი გზებიც იცვლება,
მათი გაჩენაც ღმერთმა ინება!
ბოლოს დაშორდნენ, დაპატარავდნენ,
ცას შეუერთდნენ ბამბის ქულებად...
იქაც მზე მიწვდათ, გაუჩინარდნენ,
იქნებ... და სულაც იქცნენ სულებად.
ანდა, ვინ იცის, ფრიალ-ფრიალით
შემოეჯარნენ ხევებს ფიქრებად...
სივრცეა მათი სულის ციალი
და ვერც ვერავინ შეეცილებათ!

## ძელქვა

ჟამდაყურსული ძელქვა - ძირძველი
განა ბერდება, რტოს ფრთებივით შლის...
გამორჩეული - ყოვლის მძლეველი,
საამო განცდებს აღვიძებს ჩემში.
გადუტანია დროის ქარცეცხლი
სიცოცხლისათვის ბედთან ჭიდილში..
გულში წამითაც არ გაუვლია:
უიმედობა, ძრწოლა და შიში.
იმერეთის მკვიდრს, - ჯიშით ჯანმაგარს
შესადარისი მშვენი არა ჰყავს,
ვერცხლისფერ ტანით ზეაღმართული,
ქვეყნიერებას უცქერს ამაყად.
.....
ძელქვავ, ჟამს მედგრად შემრკინებელო...
მეხთატეხები ღმერთმა გაკმაროს!
მინდა სულ შენთან ვიყო,გეფერო,
რომ მაშვრალს დარდი დამისამარო!..

## ღვთის წყალობაა

ვერც თავს უნახავ, ვერც ბოლოს -
ბედისა უჩინოებას...
დასაბამიდან ვჯახირობ,
როგორმე ვძლიო ცხოვრებას.
მიწა - დედაა ქვეყნისა,
ცა - მიწის ლურჯი მანდილი!
ღვთის წყალობაა, რომ ჰპოვო -
ამქვეყნად შენი ადგილი.

## დილის თქორი

 სადაც  წყალი იდგა ძველად -
ახალა გადაიქცა ველად.
ციდან ცრიდა დილის თქორი,
იღვიძებდა ველ-მინდორი.
მარგალიტთა ვნახე წყება,
ვერ შევიძელ დავიწყება!
ბალახს უდგას გრემლი თვალში,
ვრჩებით ყველა ყფლის ვალში!

## მაინც მგონია

სიდან ამდენი შხამ-ნარ-ეკალი,
სიძულვილს გული თუ აქვს ნეტავი?
იდუმალების ვინ შეხსნა კარი,
გზა  ვინ გაიგნო ნათელ მზესავით?
რა გველოდება კიდევ ვინ უწყის,
არც მსურს ვხედავდე, სახეს დაღვრემილს...
ო, ღმერთმა ნუ ქნას, გადაგვივიწყოს, -
დელგმად მოვარდეს დღეთა წარღვნები.
თითქოს განსაცდელს ვერ ვემალებით,
ასე სანამდე ხელის სავსავი?!
...ქვეყანას ვუმზერთ ღმერთის თვალებით,
მაინც მგონია, დავალთ ბრმასავით.

## სხვას რას ნიშნავს

რა მდიდარია ეს კოლხეთი, რა დიდებული,
გამრჯე ხელებით  აშენებულ- განდიდებული!
უფლის წყალობით არაფერი მას არ აკლია,
მშვენიერების ფერწერაა ეს ანაკლია!
გადაჭიმულა, ვით ედემი იგი შავ ზღვამდე,
თავს შეგაყვარებს და მეც გული ლექსად გავადნე.
...რა გვემართება: აქა-იქ  ჩანს ჩვენი ბავშვები,
ჟამო უჟამო, სიცოცხლეს რად ეთამაშები?!
სახლებს მაღლივებს იქნებ ისევ,  სჯობდეს ჯარგვალი,
ალბათ, ღმერთი გვსჯის, სხვას  რას ნიშნავს ყოფა ამგვარი?!

## თბილი გული

გაიღე გროში, -
ხელგაწვდილი ქალი დაგლოცავს.
ერთურთის კბენამ და ომებმა
ვხედავთ, რაც მოგვცა,
შევესწარ იქვე
ბაზრის ახლოს უფრო საოცარს:
ძაღლს  გადაუგდო კაცმა ლუკმა,
ძაღლმა აკოცა...
ხელზე, ო, ღმერთო,ეს რა დიდი
მადლი გვაჩუქე,
საუკუნეებს თბილი
გული გადააშუქებს!!!

## ნიავი

ფეხაკრეფით მოპარულმა...
 ნიავმა,
მთის სინედლე მომიტანა,-
 მეამა.
ფიქრს დარდიანს განმარიდა
წამითა,
მყის გამშორდა, ნეტავ, საით
წავიდა?..
ეს რა შვება - მოგვივლინა
გამჩენმა,
სიცხით ვიწვით? სიო - ჩვენთან
გაჩნდება.
მთა-ველია -  არე მისი
ფრიალის,
ვერ გავიგე, ქარია თუ  -
ფირალი.

## იწვის, ანთია..

მთა-გორაკიან გადასახედით -
მუდამ ბურუსში სჩანდა ჭალები,
აქ იზრდებოდა მეფე -პოეტი, -
ცადაპყრობილი ლურჯი თვალებით.
ირგვლივ ყვაოდა გორაკი, ველი,
ქართული მიწის ტკივილთან ერთად,
მას მნათობებთან ჰქონდა კავშირი -
ისე - ვითარცა სულს მისას ღმერთთან.

დღესაც პოეტის მთრთოლვარე გული -
შუქურ-ვარსკვლავად იწვის, ანთია...
ნიჭის მზის დარად გამობრწყინება
ქართული გენის დიდი მადლია!..
გალაკტიონი მისტიურ ზეცას
ახლაც შეარხევს ჩუმი ზმანებით...
კვლავ ბავშვურ ფიქრში ჩანავლებული -
ზოგჯერ მზის ჩასვლას დავემგვანები...

## მგზავრობა მეუღლესთან ერთად

ამოვიარეთ აღმართ-დაღმართი,
ფრინველთ ჭიკჭიკში, წყაროთ ვიშვიშში..
არ შეგვხვედრია გზად სულიერი,
ნისლში გამოჩნდა ჩვენი ღვირიში.
გავხსენთ ჭიშკარი გადაჯაჭვული,
შემოგვაგებეს ხმა ანჯამებმა
და მომგვეჩვენა: გზები განვლილი
ჩვენი ცხოვრების წლებს აჯამებდა.
ბუხრის ნაცარიც იყო ნელთბილი,
არ ჩამქრალიყო მთლად მუგუზალი...
თითქოს მოგვესმა დედის ხმა ტკბილი -
ცეცხლი ქრებაო და მიუძარით.

## მივიმღერი, მივდივარ..

მივდივარ, მივიმღერი
მოღერილი მზის ყელით.
ვის - დარდი კლავს, ვინ ფრთებს შლის,
ჩახლართული ფიქრებში.
წიწილების წიწინი,
ვჭვრეტ და გულიც იცინის.
ღობის ძირას ღიღილო -
წუთმაც -  დე, იღიმილოს.
მწვანე ოდა-სახლები,
სიმღერები, რა ხმები!
ტკბილ-ქართული ანბანი
ჰგავს უფლისგან განბანილს.
ცას ჰკიდია ზარივით
მზე, - გულს აჩნდეს ბზარი ვით?
მიყვარს ჩვენი რაც არი, -
კერია, თუ ნაცარი.
მივიმღერი, მივდივარ,
ლეგენდა ვარ, მითი ვარ!...

## რწმენით იხვეჭს

გზა უაზროდ გავლილი
ვერ მოგიტანს  შენ შვებას
(ბედისწერას მიაწერ -
როს რაიმე გეშლება!)
მთავარია ბოლომდე -

სული შეგრჩეს ჯანმრთელი,
რომ დატოვო ამქვეყნად
კაცმა კვალი ნათელი.
ზესკნელი და ქვესკნელი
ერთი  გრძელი ჯაჭვია, -
დრო არ უწევს ანგარიშს
შექანებულს, არც ჭკვიანს.
ვერავინ ვერ შეიცნო
წუთისოფლის ტრიალი,
რომ ცხოვრება უფრორე
რთულია და ტიალი!
რჩება აზრი სიბრძნისა
ძნელად გამოსაცნობი,
რწმენით იხვეჭს მარადისს
მხოლოდ მკვიდრნი ამ სოფლის.

## სოფლის შემოდგომა

მოწყენილი გავყურებ
ჩემი სოფლის სანახებს,
დილის სუსხი აფითრებს
შეყვითლებულ ბალახებს.
ნასიმინდარ მიდამოს
ცივი ქარი ფრთით ლოკავს,
როგორც წელმოწყვეტილი
ცად ღრუბელი მიგოგავს.
მერე სადღაც იქუხა,
მერე წვიმამ დაუშვა

(დრომ ყურიდან ტკივილი,
მეორეში გაუშვა...).
ყველამ სახლს მიაშურა,
საქონელმაც, აგრეთვე
(ბუნებასთან ჭიდილი
თუ, ბიჭი ხარ, გაბედე!).
აწი კიდეც ჩამოთოვს,
დრო დადის და მბრძანებლობს!
ზოგს სატკივარს შეყრის და
ზოგსაც - წუთს საამებლოს.
....
ქარი ჩადგა, თვალს ვერ ვწყვეტ -
ჩემი სოფლის სანახებს:
მზე უკოცნის თმა-ქოჩორს
სახეშეცვლილ ბალახებს.

## ნაადრევი ანდერძი

თქვენებრ უბრალოდ მივიჩნევ
ჩემს თავს, - არვისგან განარჩევს...
მოყვასის სიტყვით, ხან საქმით
გადავრჩენილვარ ათასჯერ...
ყველაფრის თქმას ვინ მოასწრებს, -
იქედან გეტყვით დანარჩენს!

## სიცოცხლეო!

ზოგჯერ, ჩემო სიცოცხლევ,
გულში ეკალს რად მასობ.
ჩემთან რა გემართება
როცა სხვებთან  ალმასობ.
ბევრჯერ შენგან თელილი
წელში ძლივს გავიმართე,
უნდობელს ვერ გიწოდებ, -
უნდა გითხრა სიმართლე.
გული სხვას მეუბნება, -
სულ მთლიანად ვარ შენი,
ერთხანს ერთად ვიქნებით, -
არ გაგვწირავს გამჩენი!
და რამეთუ, ერთნი ვართ,
იქაც ერთად ვცხონდებით...
მადლობა მას (წინასწარ),
ვისაც მოვაგონდებით!

## ბებო

რა ბებო მყავდა, ვინ იცის,
გავზრდილვარ მის თბილ უბეში...
ბავშვობის ხსოვნას შემორჩა
ბებო - გამრჯე და უტკბესი!
ღმერთს სამადლობელს სწირავდა
ჩვენთვის, თაფლივით სიტყვებით...
ამ წუთისოფლის შარაგზას
მეც იმგვარ წესით მივყვები.
მომნატრებია ის ოდა,
სად ბებო კვერებს გვიცხობდა...
ქრისტიანულად გაგვზარდა,
იმისი სული გვიცხონდა!!!

## სევდიანი ყვავილი

მახსენდება წყაროსთან
ჩვენი ტკბილ-საუბარი,
რად გვეგონა ონავრებს,
იქნებოდა სულ დარი.
რომ ბოლომდე გვეხარა,
ალბათ, ბედი არ იყო,
ჩვენი გზები,  მაინც რა,
უცაბედად გაიყო.
ახლა, ის დამრჩენია -
შორიდან, რომ გიგალო -
ჩემი ლექსის ამინდო,

ცეცხლო, ხანაც გრიგალო!
ვინ იხილა მეორედ -
ბედი კარზე ჩავლილი,
ჩემი გული ლექსია -
სევდიანი ყვავილი.

## მდინარე

როგორც კი მომენატრები,
თითქოსდა ყურთან ჩხრიალებ,
ხსოვნას მზის შუქით მინათებ,
ფიქრებში ჩამომდინარევ.
სამოცი წლის მოვიყარე,
თავი კვლავ ბავშვი მგონია,
შენი ტალღების ალერსი
აქამდე გამომყოლია.
მაღალ ხევებში მოშხუი,
ჭალაში - მინდვრად მდოვრდები,
გზადაგზა მიგაცილებენ
ღრუბლები, როგორც ორბები.
.....
ორთავ ბუნების შვილნი ვართ,
ძუძუს გვაწოვდა მზის მთები,
შენ, შავ ზღვას თავი მიეცი,
მე, შენზე ფიქრით - კი, ვდნები.

## მოგონების ფრაგმენტი

ძმათაშვილებს -
გვზრდიდა ერთი აკვანი,
ღვთის რწმენით და
უფლისადმი თაყვანით.
გზებს ვიკლებდით
წიოკით და სიმღერით,
მათი ნახვის -
ნატვრით, ახლა ვიღლები.
ჟამმა უმალ
დღეებს უტკბესს გაგვყარა,
მოგონებამ
სული ამიბაღნარა!
ვარ იმ დღეთა
ფიქრით ცამდე ასული:
არ ეგების,
დავიწყება წარსულის!..

## ზეცა ამაყი

თვალმტაცი ზეცა ცისკრით ნაფერი,
დაბადებიდან იპყრობს გონებას,
გამობრწყინებულ მნათობთ ნათელით -
გული სიტურფით მას ემონება.
დაუცხრომელი შორითი ჭვრეტა:
მზისა და მიწის, ზღვისა და ზეცის,
ამ თვალთშეუდგამ სიმრავლეს ფერთა,

დრო-ჟამის გარდა ვერც არა შეცვლის.
კავკასიონზე ვხედავ ფრთაგაშლილს -
წყება - ქათქათა ხონჩას ღრუბლების,
მახვევს საამო ფიქრთა ჰამაკში -
ზეცა ამაყი და ხელუხლები.

## ცხელი უკუნი

ჟინი მოიკლა ველურმა ხვატმა, -
მიწა ალოკა ცეცხლის ენებმა,
ქარვისფერ ალში გამოიხატა
თვალთა საამო მშვენიერება...
ჩაცხრა შიშინი და ტუტე-ნაცრად -
ქცეული არე, აქა-იქ ბოლავს,
ხვედრთან ჭიდილი არვის დასცალდა -
ბუნება თავის თავს ედემონა.
სუნთქავს ეგვიპტე ქვით და ქანდაკით, -
არვინ ჩანს ბედთან დანამდურები,
აქვს ბუნებასაც წესი, ადათი,
ყოფა-არსობის განადგურების...
უნაყოფოა გლოვა-წუწუნი,
ანდა აზრი აქვს, სხვა განმარტებას?
ძველს ანგრევს, შთანთქავს ცხელი უკუნი,
ახალ სიცოცხლის დასაბადებლად.

## შთაგონებული ამირან შალიკაშვილის ხელოვნებით

სცენაზე მდგარი ბრგე კაცი თითქოს -
მთრთოლვარე კდემით რაღაცას ითხოვს.
აქანდაკებულ ხელებს ნატიფებს
თუ ვერ გავუგებთ, არ გვაპატიებს.
შეგვიყოლია გრძნობის მორევში, -
ვითარც გამომწვარ სულის თონეში.
გარდასახვებით დაიპყრო სცენა,
გონი წამერთვა, დამება ენა.
ხელოვნებისთვის შობილი... იწვის,
გამოძერწილი ამ მზით... ამ მიწით!..

## ვეღარ ვეწევი

ზოგჯერ ცხოვრება ავხორცი, ბერწი,
სულს დემონივით ვეღარ იოკებს...
გული უჟმურთა სიავით მეწვის,
თვალალმაცერად ვუმზერ  ხრიოკებს.
სად ხარ გრიგალო? მოდი აშავერს -
გადამიარე ველურ მათრახით...
გახელდა სისხლი, რა დავაშავე?
გეწევა საით, -  ჟამი რახრახით.
წარიღე: გლოვა, ძენძი და ჭუჭყი,
ახალ სიშიშვლის მიპყრობს სურვილი,
რომ არ გამოდგეს ეს ლტოლვა ფუჭი,
მზემ დააურვოს ვნების ხურვილი.

მზის თვალი ჩადგეს ისევ ვენახში,
ვაზმა აღმართოს ლორთქო ლერწები...
ნორჩი სიცოცხლე - მტკივა მე  ნახვის -
და ჟამს გაფრენილს  ვეღარ  ვეწევი!..

## მწუხრისას

ორნი ვართ სახლში: მე და ბუხარი,
ორნივ მდუმარნი ფიქრთ-საწუხარით.
ტყე გვადგას თავზე,  გაღმით სერია,
ზოგიც ჟამთა სვლას გადუთქერია.
დრომ ვერ მოგვიხსნა ფიქრთა სიმძიმე,
მზე ჩაესვენა, მთებიც იძინებს.
მთვარესაც ღრუბლის გადეკრა ბინდი,
საწუთროვ, როდის არ იყავ ფლიდი?
.....
სამშობლოს ფარავს  „ზეწარი მწუხრის“,
წარსულ დიდებას მარად ქედს ვუხრით!!!

**მივყვეთ დინებას**

არ მაქვს იდეა,
რა სიბინდეა,
რა ბორგვა-შფოთი.
მღალავს ზმანება -
შიგან წამებას
ახლა ვინ მოთვლის.
ხვალ რა იქნება,
ან ვინ იქნება,
დამღვრელი ოფლის...
არსი ურკვევი
ქვეყნად კვლავ რჩება -
ამ წუთისოფლის.
სულში ჩავიწნათ
რწმენა-იმედი,
ვერას ვიქმთ ბოდვით.
არს ნება ღმერთის:
მივყვეთ დინებას...
ჟამნი ძველებურ -
მიდის და მოდის.

**სიყვარული - სიცოცხლის ფესვი**

გულმა დამისვა კითხვა უტკბესი,
ცოტას ვჭოჭმანებ, პასუხს ვერ ვბედავ,
სიყვარული... თუ, სიმღერა, ლექსი...
რომელი იშვა, პირველად ნეტავ?
.....
სიყვარულია სიცოცხლის ფესვი,
წუთებს, რომ გვივლენს ღვთიურს და ნეტარს!!!

## ნაპირი

ტალღები ქვიშას მუცლებს ახლიან,
ხან ნება-ნება, ხან გულმოსულად,
თავთან მარტო ვარ, არვინ მახლია,
ნაპირზე კაცი არ გამოსულა.
ზღვისებრ დარდები თავზე მაყრია,
მზემ მიწა ჩემს წინ დააორსულა.

## ლაჟვარდოვანი სიცილი

ზღვა თავაწყვეტით გმინავს და ხვნეშის,
თითქოს სამყარო უჭირავს ხელში...
ბორგავს, ტორტმანებს წვიმაში, თქეშში -
უკიდეგანო პირღია ქვევრში.
გაბრაზებული მოაგავს შეშლილს,
გადაეხვევა მიხაკის ფერში,
აიზვირთება უნდო და მხეცი,
ვაი, მას, ვინც კი მოხვდება ხელში.
.....
მომხიბვლელია ზღვა მონარნარე:
ტალღა-ტალღაზე მობმა ლივლივით,
ფსკერით - წალკოტი, როგორც ბაღნარი,
ლაჟვარდოვანი ნაზი სიცილით...

## ფერისცვალება

მარიამის თვეში,
ფერცვალობის ფერში,
გვალვის ჟინით შეშლილს  -
ამინდს არა ესმის.
აღარც წვიმის წვეთი,
აღარც წყაროთ შხეფი,
დღეებს ესხმით რეტი,
აღარ  ძალუძთ მეტი.
დღეს აცილებს ღამე,
მზეს კი, მკრთალი მთვარე,
სიცხით გადამთვრალებს -
არავინ გვიბრალებს...
მოუხშირა ქარებს,
აშრობს მიწის ქანებს..
ბრუნავს დედამიწა
და ჩვენც მიგვაქანებს.
მცხუნვარ მზის მოთენთვით -
ფიქრით ზეცას ვერთვით,
ისე ურქენს მიწას, ლამის გადავიწვათ!

## შთაგონებული ნიკო ლორთქიფანიძის მოთხრობა - „შელოცვა რადიოთი“

იყო დარბაზი გატრუნული:
ქალის და გველის -
სანახაობის მოლოდინში,
რაღაცის მწველის.
უხილავ ჟინით შეპყრობილი
ქალი ყელს იღერს,
შიშველ სხეულზე მერე ასპიტს
გარსშემოიხვევს.
ქალის სურნელი, ვითარცა ხვადს
ასპიტს იზიდავს
(შეუცნობელი ბევრი რჩება
ზოგჯერ სიბრძნიდან!).
ცივი ფერება ვინ შეირგო
გველის საზარის? –
დაგესლა ქალი, თითქოს ცამაც
იწყო ზანზარი.
გველი გაშორდა ქალს - ჯერაც თბილს
გაისისინა,
ნამოქმედარი თვისი თითქოს
იგრძნო, იწყინა.
.....
მკვდარი მზე - ქალი, იატაკზე
იწვა, ვით ლოდი.
შეწყდა შელოცვა თბილისიდან...
იმ რადიოთი.

## რამდენმა გიმტრო

დღეს, მოცახცახე ქართლის გული
ხელით გვიჭირავს,
ვინც ძმად მივიღეთ...ის გაგვიხდა
მართლა დიდ ჭირად...
ჩვენ  შეკედლებულთ, სიკეთეც  კი,
ვერ დაინახეს...
თუმც, შვილად ვცანით, არ დაგვინდეს
დაგვიგეს მახე.
ჩუმად, მზაკვრულად მშობელ მიწას
ლახვარი ჩასცეს.
ქართული ჯიში არასოდეს
არ იზამს ასეთს.
.....
სამშობლოვ ჩემო, შენ არავის
ვალი არ გადევს,
რამდენმა გიმტრო, - ელოდები
კვლავაც, ეჰ! რამდენს.

## მარადიული ხარ ჩემი ფიქრი

სულში ხმიანობ...უფალო, მარად! –
უკუნისიდან... უკუნის კარად.
სულ, ჩემს მახლობლად - მთებში და ზვრებში,
ჩვენ უშენობა უთუოდ შეგვშლის.
ყოველთვის, ყველგან: იქაც და აქაც,
ძირძველ მამულში - გამოღმაც... გაღმაც.
ვემთხვევი მიწას, მივილტვი ცისკენ,
თვალს არ მაშორებ, ვიცი, რომ მიცქერ.
მაპურებ დღემდე - არსობის პურით...
ვერ ავირიდეთ ჩვენ სინანული.
სულის იმედო! რწმენავ და ლხენავ!
ღვთიურო მადლო, ლექსო, სიმღერავ!
მე შენს გარეშე - ვერაფერს ვიქმნი,
მარადიული ხარ ჩემი ფიქრი...
მესაიდუმლევ, ღამის და დღისავ -
შემინდე ცოდვა, თუ ამის ღირსვარ!
დავეცი ბევრჯერ, კვლავ აღვსდექ შენით,
სიცოცხლე შენით მიყვარს და მშვენის!

## მთიელ გლეხკაცს

ვლოცავ შენს მარჯვენს...
დიდება გამჩენს!
ნაშრომი შენი -
ქალაქად გვარჩენს.
ცხოვრობ მანდ მთებში,
ახლოს ხარ ღმერთთან,
მოყვანილს ღრეში -
აგზავნი ჩვენთან.
დავანთებ სანთელს,
მოიტანს ნათელს...
დიდება გამჩენს!
ვლოცავ შენს მარჯვენს...
.....
ღმერთი გფარავდეს!
უშიშარს, გამრჯელს...

## სულის მზედ გაგვიბრწყინდები

მიწაზე ვტოვებთ ნაკვალევს,
შველას ზეციდან მოველით,
სულ შემართებას გვავალებს -
ტკბილ-მწარე წუთისოფელი.
ხვალაც ვიხილავთ მზიან ველს, -
ჩვენ დავძლევთ დღეის სიმძიმეს...
მამული გაგვიმზიანდეს -
ამგვარ ფიქრებით ვიძინებთ.
.....
სამშობლოვ, ცეცხლის მომთებო,
არასდროს დაიბინდები,
კვლავაც რწმენით და დიდებით -
სულის მზედ გაგვიბრწყინდები!!!

## უკანდახევა არავითარი!

რახან მიზიდავს ეს აღმართები,
დაღმართის მე ვერ გავხდები მგზავრი,
მუდამ იქეთკენ მივემართები -
სიკვდილ-სიცოცხლის მოვშალო ზღვარი.
მიზანსწრაფვული ჟინი და ღელვა
არის მომყვანი დღენის მზისდარის,
არავითარი უკანდახევა...
უკადახევა არავითარი!!!

# სარჩევი


ბადიშს---------- 5
ღმერთო მზიანო---------- 6
განსაცდელი---------- 7
ბრწყინავს მარადის---------- 8
კვლავ მადლი ჰქმენი---------- 9
სამარადჟამოდ---------- 10
რომ არა ჯვარი---------- 12
ტაძარს მზედ ენთო---------- 12
გრ. რობაქიძის მოლანდება სვეტიცხოველში---------- 13
ხარ სულიერი მამა ქართველთა---------- 14
ღმერთს ვუსმენთ---------- 15
სვეტიცხოვლის საძირკველთან---------- 15
ვერ გადაგვიჭრეს იმედის გზები---------- 16
ვლოცულობთ შენზე---------- 16
მარადისობა---------- 17
შთაგონებული მამა აკაკის ლოცვა-კურთხევით---------- 18
შემთხვევა მამადავითის ტაძარში---------- 18
სულის თაკარავ, ჩუქურთმავ---------- 19
მიწას ვემთხვიე---------- 19
ჯვარის მანდილი---------- 20
განათებული ტაძარი---------- 20
ძეგლები---------- 21
ღმერთო მაღალო! შენ გევედრები---------- 21
არასდროს დავმთავრდებით---------- 22
ადამის მოდგმავ!---------- 23
ღმერთის დიდებით ივლის---------- 23
ღმერთმა ინება---------- 24
ენა ქართული---------- 25
წიგნი---------- 25
ლექსის დედოფალი ანა---------- 26

პოეტი ქალის სიმღერა---------- 26
სიყვარულის წიგნი---------- 27
პოეტის გული---------- 28
ქვეყნიერების შემოქმედს---------- 28
კვლავაც აგიგინდება---------- 29
მუზების მზე ---------- 29
კაცნი ბრძენნი---------- 30
გალაქტიონი---------- 31
ვაჟა თვით იყო მინდია---------- 31
მეფე-პოეტი---------- 32
იაკობ გოგებაშვილი---------- 32
პოეტი ეპოქა---------- 33
საღამო მთაწმინდაზე---------- 33
პოეზიის რაინდს---------- 34
ნოველების დიდოსტატო---------- 34
საუკუნეებს გადააშუქებს---------- 35
ფიქრები შოთა ნიშნინიძის საფლავთან---------- 36
იმედი ბურჯი---------- 37
ნუ იტყვით---------- 37
ივლის მზესავით---------- 38
ვის დავაკლდები---------- 39
მზიანი სიტყვა---------- 39
ვინ იგრძნო ცეცხლი---------- 40
26 მაისი 2011 წელი---------- 41
განა ჩვევიათ ფიცის გატეხვა---------- 42
სათხოვარი---------- 42
ისევ ქართულ სიტყვას---------- 43
მიგაფრენს გზები---------- 43
გადრი ღვთისმშობელს---------- 44
ჩემ ლექსებს---------- 44
მამას---------- 45

გულის ცრემლები---------- 45
სულის სინათლე---------- 46
აღარ მეძახი---------- 47
დედულ-მამულო---------- 47
მომავლის ფიქრები---------- 48
გამჩენმა უწყის---------- 49
ისევ წუხილი---------- 49
მშობლიურ მთას---------- 50
მანგლისი---------- 51
ერთობა ქართულ გენის ღირსება---------- 52
ცხელო გულ-ღვიძლო---------- 52
მივიწყებული გზები---------- 53
მამულო ჩემო!---------- 54
ქარაშოტი გადივლის---------- 54
მამულო გენაცვალები!---------- 55
ნურვის გაიმეტებ---------- 56
მაინც როდემდე?---------- 57
ფიქრი გზა---------- 57
შეხმიანება კავკასიონს---------- 58
მაინც გნატრულობ---------- 59
კვლავაც გაბრწყინდება!---------- 59
ზამთრის პირი---------- 60
წარსულ დროში წამიერი დაბრუნება---------- 61
ხალხნო, რით გაგახაროთ!---------- 61
შიშით იძინებს---------- 62
ღმერთი გფარავდეს---------- 63
ზეცის თვალები---------- 63
მაინც ჩვენია---------- 64
საბედნიეროდ---------- 65
წარსულის ექო---------- 65
კვლავ თუ გვიღიმის---------- 66

იმედიანი ნატვრა---------- 67
გულისწყვეტა---------- 67
იქნებ---------- 68
გრძელდება---------- 68
მუდამ მზე ენთოს---------- 69
სიცოცხლის გაზაფხული---------- 69
ვკოცნი შვილიშვილებს---------- 70
სიცოცხლის ფასი---------- 70
მწარე სინამდვილე---------- 71
გზა წარსულისკენ---------- 72
შავი ვარდი---------- 73
სამდურავი---------- 73
მასწავლებელს---------- 74
სამარადისო დიდება---------- 75
ეს რა ჟამი დაგვიდგა---------- 76
მიწისძვრები---------- 77
სოფლის სურათები---------- 77
ჭადარი გზაზე---------- 78
გული ვის მოუოხია---------- 79
მოგიგონებენ---------- 79
ნატვრა---------- 80
იმედი---------- 80
ბუნების საოცრება---------- 81
იმერეთის მოჩვენება ცხვარიჭამიაში---------- 81
ნისლო ფარფატა---------- 83
მთა საოცრება---------- 83
თუ უფლის გზას მივყვებით---------- 84
მარტის ზეიმი---------- 85
დრო-ჟამთა თანამგზავრი---------- 85
სიცოცხლე მოძრაობაა---------- 86
გთხოვთ ქალ-ვაჟნო---------- 87

თბილისიდამ ადიგენამდე---------- 88
იფნის ხე---------- 88
ჟამი---------- 89
გული მზესავით ენთო---------- 90
იმედის მზე---------- 91
ღვირიშის მთვარე---------- 92
სევდიანი მოგონება---------- 93
გულო უნდა გაუძლო---------- 93
სიო---------- 94
ტყის მადლი---------- 95
მზეო---------- 96
უმწეობა---------- 97
ზოგჯერ---------- 97
სადა ხარ---------- 98
რა დაერქმევა---------- 98
სოფლის ხიდესთან---------- 99
ნისლები---------- 99
ძელქვა---------- 100
ღვთის წყალობაა---------- 100
დილის თქორი---------- 101
მაინც მგონია---------- 101
სხვას რას ნიშნავს---------- 102
თბილი გული---------- 102
ნიავი---------- 103
იწვის...ანთია---------- 103
მგზავრობა მეუღლესთან ერთად---------- 104
მივიმღერი, მივდივარ---------- 105
რწმენით იხვეჭს---------- 105
სიფლის შემოდგომა---------- 106
ნაადრევი ანდერძი---------- 107
სიცოცხლეო---------- 108

ბებო---------- 109
სევდიანი ყვავილი---------- 109
მდინარე---------- 110
მოგონების ფრაგმენტი---------- 111
ზეცა ამაყი---------- 111
ცხელი უკუნი---------- 112
შთაგონებული ამირან შალიკაშვილის ხელოვნებით---------- 113
ვეღარ ვეწევი---------- 113
მწუხრისას---------- 114
მივყვეთ დინებას---------- 115
სიყვარული სიცოცხლის ფესვი---------- 115
ნაპირი---------- 116
ლაჟვარდოვანი სიცილი---------- 116
ფერისცვალება---------- 117
შთაგონებული ნიკო ლორთქიფანიძის „შელოცვა რადიოთი“ --- 118
რამდენმა გიმტრო---------- 119
მარადიული ხარ ჩემი ფიქრი---------- 120
მთიელ გლეხკაცს---------- 121
სულის მზედ გაგვიბრწყინდები---------- 122
უკანდახევა - არავითარი---------- 122

გამომცემლობა „საჩინო“
შ. დადიანის 8
ტელ. : 593 99 34 88